

მთავარი

№ 4.

ყოველკვირეული გაზეთი.

№ 4.

1910 წლის 18 აპრილიდან ქ. თბილისში გამომდის
სახლითიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ქოველკვირეული გაზეთი

„მთავარი“

გაზეთის ფასი—ერთი წლით—5 მან. ნახევარი წლით—3 მ.
ერთი თვით—ათი შაური. ცალკე ნომერი ორი შაური. ხე-
ლის მოწერა შეიძლება აგრეთვე რამდენიმე ნომერზე, ორ-
ორი შაურის ანკარიშით, არა ნაკლებ ხუთისა.

ფოსტის ადრესი: Тифлиς, Редакция „Могзаური“, Со-
ломону Евстафиевичу Телия. (Типог. Килაძე).

რედაქტორ-გამომცემელი კ. ფ. მგულაძე.

შინაარსი: მეთაური: სამრეწველო კრიზისი და მუშა-
თა კლასი.—რა გამოიქვეყნა?, ახალგაზდასი.—ეურნაღ-გაზე-
თებიდან.—სახლგარ-გარეთი.—რუსეთის ცხოვრება.—ეგნატე
ნინოშვილი, პარ-ი'ა.—ლექსები: ე. ნინოშვილის ხსოვნას,
ვ. სვირიქელისა.—გზაზე, ბ. გელასი.—ნამუსახდილი, რ.
ლენხუმელისა.—წარსულიდან, ეტიუდი, ილ. მგელაძისა.—
ქართული ხელოვნება და სინამდვილე, ყარბისა.—ფიქრები
და შთაბეჭდილებანი, ს. მარნელისა.—მუშათა შორის: მე-
მანქანეთა ცხოვრებიდან,—თამბაქოს მუშების ცხოვრებიდან,
—კანდიტერ-მეხუთკეების ცხოვრებიდან. განცხადებანი.

სამრეწველო კრიზისი და მუშათა კლასი.

კაპიტალისტური წყობილების თანდაყოლილი სენი
არის დროგამოშვებითი კრიზისები მრეწველობაში, რო-
მელთა თავიდან აცილება ყოველთა შემუშავებელია, სანამ
წარმოება არ იქნება მოწესრიგებული. ეს დღეს საანბანო
ქეშმარიტებათ არის მიჩნეული. ამ კრიზისებისაგან დიდ
გასაჭირს განიცდიან თვით დღევანდელი ცხოვრების მე-
თაური—კაპიტალისტები, რომელთაგან ბევრი კოტრდე-
ბა კრიზისების დროს და გამოდის კიდევ თავის რანგი-
დან. მაგრამ მათი სიმწვავე ყველაზე უფრო მძიმე ტვირ-
თათ აწვება მუშათა კლასს, რომლის კისერზედაც უნდათ
გადაატარონ იგი კაპიტალისტებსაც და თანამედროვე
კლასიურ სახელმწიფოებსაც. ამ კრიზისების სიმწვავე მით
უფრო საგრძნობელია, რამდენათაც ფართო ხასიათისაა
თვით კრიზისი, რამდენათაც უფრო მეტ სამრეწველო
სფერას და რაიონებს ედება. სწორეთ ასეთი ფართე ხა-
სიათისაა დღევანდელი ეკონომიური კრიზისი რუსეთში.
არ არის თითქმის არც ერთი დარგი მრეწველობისა, საცა
კრიზისი არ იყოს გაბატონებული. ყველგან აუარებელი
საქონელია დაგროვებული და ბაზარში გასავალი არ აქვს.
ამის გამო ახალი საქონლის დამზადებას ამცირებენ, ხან-
კი სულ სწყვეტენ და საქირო ხდება წარმოების შემცი-
რება, რომ კიდევ უფრო მეტა საქონელი არ დაგროვდეს
და მით კიდევ უფრო ძირს არ დასცენ ამ საქონლის
ფასები, რადგან მათზე დიდი გავლენა აქვს ბაზრის მო-
თხოვნილებას და თუ მიწოდება მოთხოვნილებას სჭარ-
ბობს, მაშინ ბაზარზე ბატონობა მხმარებელის ხელში გა-
დადის, იგი კი დაინტერესებულია ფასების დაწევაში.
ეს მდგომარეობა ავალღებს კაპიტალისტ-მრეწველს,
ჩვეულებრივზე მეტი ეკონომია გასწიოს წარმოებაში და

ქართული თეატრი

კვირას, 16 მაისს, გაიმართება

კონცერტი

კ. ფოცხვერაშვილისა

შესრულებულ იქნება: 1) ქართული ეროვნული სიმ-
ღერები ზორასა და ორკესტრისათვის შემუშავებული
კ. ფოცხვერაშვილის მიერ. 2) „ბრძოლა ამირანისა ბაყბაყ
დევეთან“, სიმფონიური, ცოცხალ სურათებიანი ესკიზი, მუსიკა
კ. ფოცხვერაშვილისა. 3) „აშენდა საქართველო“ სცენები
ქართულ სტუდენტთა ცხოვრებიდან, კ. ფოცხვერაშვილი-
სა. წარმოდგენის დაწყების წინ ორკესტრი შესრულებს
დავლურსა და ლეკურს ბალანჩივაძის ოპერიდან. (თამარ
ცხიერი). მეორე ანტრაქტში შესრულებულ იქნება ქართუ-
ლი მარში იპოლიტოვ-ივანოვის სიუტიდან „ივერია“. სიმ-
ფონიური ესკიზის ცოცხალ სურათებს დასდგამს მხატვარი
ვ. ზომმერი.

ხორაში მონაწილეობას იღებს 100 ქალი და კაცი.
ორკესტრში 40 კაცი.

(2) ლოტბარი კ. ფოცხვერაშვილი.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.

სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე.

კვირას, 9 მაისს, ნ. შ. გაბუნია-ცაგარელის მონაწილეობით
წრის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

„შემოსავლიანი აღვილი“

ღრ. 4 მოკმ. ოსტროვსკისა, თარგ. ცაგარელისა.

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

რეჟისორი კ. შათირიშვილი.

აღმწიფრატორი ა. ჭიბერაშვილი.

ხარჯებში. ხოლო, რადგან ამ ეკონომიის გაწევა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ცოცხალი საქონლის ანგარიშზე და არა მუდმივ კაპიტალზე, როგორც არის მანქანები და სხვ., ისიც პირველ-ყოველისა მუშებისათვის ხელფასის შემცირებას, სამუშაო დღის გადიდებას და საზოგადოთ მათი მდგომარეობის გაუარესებას აწევა და ამითი უნდა თავის დახსნა მისივე კლასის ბატონობის მიერ გამოწვეული უბედურებისაგან.

ამიტომაც არის, როგორც მოგახსენეთ, ყველაზე უფრო საგრძნობელი სამრეწველო კრიზისები მუშათა კლასისათვის. მას ერეკებიან მრეწველობის ერთი სფერიდან, ის ეტანება მეორეს, მოთხოვნილებაზე მეტი შრომის მიწოდებით იქაც სცემს შრომის პირობებს და როცა კრიზისი საერთო ხასიათისაა, საერთოთ მთელი მუშათა კლასის მდგომარეობაც ეცემა.

თუ მრეწველობის აღორძინების ხანაში მუშა ახერხებს თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას, აქ მისი მდგომარეობა სრულიად უიმედო ხდება, სანამ კრიზისი არ გაივლის. ასეთ მდგომარეობას განიცდის დღეს რუსეთის პროლეტარიატიც. ასეთ მდგომარეობაშია კავკასიის პროლეტარიატიც. მცირედენ გამოჩანს შეადგენდა ამ წინაზე ბაქოს ნავთის მრეწველობაში მომუშავეთა მდგომარეობა, მაგრამ დღეს ისიც იმავე ბედშია, როგორც ყველა სხვა კუთხისა. მიმქრალია მუშაობა ქიათურაში და ბათუმში. საესეა უმუშევრებით თფილისიც და აქაც განახლებულია წარმოება.

მერე რით შეუძლია პროლეტარიატს თავის შველა? რა იხსნის მას ასეთი მდგომარეობიდან?

საზოგადოთ და საბოლოოთ, რასაკვირველია, მხოლოდ წარმოების იარაღთა ანუ, უკეთ ვთქვათ, საშუალებათა ხელში ჩაგდება, მათი განსაზოგადოებრივება, აღვირახსნილი კონკურენციის მოსპობა და წარმოების ორგანიზაცია. მაგრამ ეს მუშათა კლასის შორეული და საბოლოო მიზანია. დღევანდელ პირობებში კი არის ორი გზა. პირველია პოლიტიკურ და პროფესიონალურ ორგანიზაციებში შეკავშირებით და სოლიდარული მოქმედებით თავის დაცვა მოპირდაპირის მოსევისაგან. მეორე, კიდევ იმავე გზით კლასიურ სახელმწიფოსგან და თვითმართველობის ორგანიზებიდან საზოგადო სამუშაოთა მოწყობის მოთხოვნა და ამისათვის მასზე გავლენის მოხდენა.

ორივე გზა ამსუბუქებს მიმდინარე გაჭირვებას და უახლოვებს პროლეტარიატს საბოლოო მიზანს. სამწუხაროთ, რუსეთში ორივე გზა ძნელი გამოსაყენებელია, რადგან არსებული რეჟიმი არ სცნობს არც მუშათა ორგანიზაციას და არც სახელმწიფოს ვალდებულებას მუშათა კლასის წინაშე.

აქ ისევე იდევნება მუშათა პროფესიონალური კავშირები, როგორც რომელიმე რევოლიუციონური პარტია. აკრძალულია ფაქტიურათ კოაპერატიული მოძრაობაც, ხოლო სახელმწიფოსაგან რისამე მოთხოვნა პირდაპირ „ბუნტის“, ამბოხების კვალათ არის მიჩნეული. თვითმართველობაც, როგორც ქალაქის, ისე საერობო, შეძლებულ კლასების ხელშია ჩავარდნილი და ისინი, რა-

საკვირველია, გულ-გრილათ უყურებენ მუშათა მოძრაობას, მის შესამსუბუქებლათ ხელს არ ანძრევენ. კვირველია, არ უნდა დააყრვეინოს ფარ-ხმალი მუშებს... ასეთი მდგომარეობა მხოლოდ ხაზს უსვამს პროლეტარიატის კლასიურ განმარტობას.

თუმცა, უკვე ცნობილ პირობების გამო, ეს გზა მეტათ სახიფათოა, მაგრამ პროლეტარიატი მაინც არ სტოვებს მას; თუმცა მისი მაჯის ცემა შედარებით ძლიერ მისუსტებულია, მაგრამ იგი მაინც ცდილობს თავის დაცვას. ამ თავის დაცვის გამოძახებელი იყო ყველა უკანასკნელი დროის გაფიცვები. პროლეტარიატი ცდილობდა მხოლოდ უკვე მოპოვებული მდგომარეობის შენარჩუნებას. ის აწარმოებდა მხოლოდ თავის დასაცველობას, თუ შეიძლება ასე ვთქვათ.

სამწუხაროთ, თითქმის ყველგან დამარცხებული გამოდიოდა იგი უძლიერეს მოწინააღმდეგეთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყოველ ნაბიჯზე ართვედენ მას უკვე მოპოვებულს და რამდენიმე წლით უკან ახევენებდენ. თუმცა ასე იყო, მაგრამ პროლეტარიატი ისევე თავისი ნაცადი იარაღით გამოდიოდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელი გაფიცვები უფრო მოსაზრებული და აწონილ-დაწონილია, ვიდრე წინათ იყო. დღეს ძულე-ბულია უფრო ფრთხილათ მოვიდოს ამ საქმეს, რადგან ყოველივე და ყველაფერი მის წინააღმდეგ არის, თითონ კი განმარტოებული დგას. მისი ხელის შემშლელია პოლიტიკური კონიუნქტურა, მის წინააღმდეგ ირახმებიან კაპიტალისტები ეგრეთ-წოდებულ სავაჭრო და სამრეწველო კავშირების მოწყობით და სხვა ასეთებით. იშველიებენ საშინელ იარაღს, ლოკაუტებსაც, ანუ, ჩვეულებრივ ენაზე რომ ვაღმომავარგმნოთ, იმავე გაფიცვას, მხოლოდ მუშათა წინააღმდეგ; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ კაპიტალისტების ორგანიზაცია და გაფიცვა — შეთქმულობა მუშათა წინააღმდეგ — ნებადართულია, მუშებისა კი დამქირავებელთა წინააღმდეგ იდევნება, როგორც „ბოროტ-მოქმედება“. ეს იცის პროლეტარიატმაც და ცდილობს ტყუილ-უბრალოთ არ დახარჯოს ძალები; ასეთ მდგომარეობაში ის ყოველთვის ერთ ტაქტიკას ადგება: გულმოდგინეთ სწავლობს მრეწველობის ამა თუ იმ დარგის პირობებს, ბაზარზე საქონლის მდგომარეობას, მოთხოვნილების რაოდენობას და როცა შეატყობს, რომ კაპიტალისტისათვის უკვე აღარ არის ხელსაყრელი წარმოების შეჩერება, როცა ხედავს, რომ მისთვის უფრო ხელსაყრელია დათმობა მუშების მოთხოვნათა წინაშე, სწორეთ ამ დროს თხოულობს პირობების გაუმჯობესებას. ასეთია მოწინავე პროლეტარიატის ტაქტიკა, რომელიც ახერხებს ანგარიში გაუწიოს კაპიტალის ორგანიზაციასაც, წინდაწინ მოისაზროს ლოკაუტის შესაძლებლობა და სხვ. ამ შემთხვევაში ის კერძო გაფიცვების ნაცვლათ აწარმოებს გაფიცვას მთელ სამრეწველო რაიონში, ან წარმოების მთელ დარგში, ხოლო ასეთი გაფიცვების გასატარებლათ აუცილებელი ხდება უფრო ფართო ორგანიზაცია თვით მუშათა კლასის და აქეთ არის მისი ყურადღებაც მიქცეული. ასეთია ნაცადი ტაქტიკა მოწინავე, კაპიტალისტურათ განვითარებულ ქვეყნებში და ამ

გზას ადგება რუსეთის პროლეტარიატიც, თუმცა აქ, პოლიტიკური პირობები ყოველ მხრიდან ხელს უშლის მის საქმეს...

რ ა გ ა მ ო რ კ ე ვ ა ?

დასრულდა პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის სიეზი და ახლა უკვე შეგვიძლია ვიკითხოთ: რა გააკეთა, როგორ შესრულა მან თავისი დანიშნულება?

მის დანიშნულებას კი შეადგენდა ორი უმთავრესი რამ: 1) გამოკვლევა პროსტიტუციის გამომწვევი და მასაზრდოვებელი მიზეზებისა და 2) გამომწვევა ამ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველ საშვალებათა.

პირველი კითხვას შესახებ სიეზზე თითქმის ყველა აღიარებდა, რომ პროსტიტუციის მთავარი მიზეზია შრომის აუტანელი პირობები, მცირე ხელფასი და სხ. სოციალური ხასიათის კითხვები. აღიარებდნენ აგრეთვე, რომ პროსტიტუციას ძლიერ უწყობს ხელს დედაკაცის უუფლებობა, მუშათა პროფესიონალური კავშირების უქონლობა და სხ. მოსკოვის მუშების დელეგატებმა გადაუშალეს საიეზს თვალწინ ის საშინელი პირობები, რომელშიც უხდებოდა მუშაობა მოსკოვის მუშა ქალებს; მათ მიუთითეს ხაზინების თავდასულობაზე, რომლებიც მათ და სასარგებლოთ გამოტანილ კანონსაც კი ანგარიშს არ უწყევნენ და მუშა ქალების ისედაც ცუდ მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდნენ, და მით პროსტიტუციის გზაზე ერეკებიან. ერთი სიტყვით, ამბობდა მოსკოვის დელეგაცია, მუშების ეკონომიური და პოლიტიკური უუფლებობა, აი, პროსტიტუციის მთავარი მიზეზი. ამ აზრს რამდენიმეთ იზიარებდა სიეზიც. ერთში თითქმის არ იყო აზრთა სხვა და სხვაობა: ყველანი აღიარებდნენ, რომ პროსტიტუცია შედგება სოციალური პირობებისა.

ამის შემდეგ, ერთი შეხედვით, საფიქრებელი იყო, რომ სიეზი საშვალეებსაც სათანადოს მონახედა, საფიქრებელი იყო, იტყოდა, რომ სოციალ-პოლიტიკურ ბოროტებას ასეთივე ზომებით უნდა შეველაო, მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ მოხდა.

პირველი, რაც ყველაზე საყურადღებოა, სიეზმა ვერ სთქვა: შეიძლება თუ არა არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში პროსტიტუციის სავსებით მოსპობა? მხოლოდ მუშები უსვამდნენ მუდამ ხაზს იმ გარემოებას, რომ პროსტიტუციის გამომწვევი მიზეზები და მასასადამე თვით პროსტიტუციაც მოისპობა მხოლოდ მაშინ, როცა მოისპობა საფუძველი დღევანდელი საზოგადოებისა—კლასობრივი წინააღმდეგობა. სიეზის უმრავლესობამ კი ამაზე კრინტიც არ დასძრა. მან ვერ სთქვა: ის ზომები, რომლებიც მან გამოიმუშავა, საბოლოოთ სპობენ ბოროტებას, თუ მხოლოდ დროებით უნდა მოაშუშონ დაჩირქიანებული სხეული ავთამყოფი საზოგადოებისა?...

სიეზმა მიიღო სამი მთავარი რეზოლიუცია. (იხ. „მოგზ.“ №. № 3—4) ის აუცილებელ საჭიროთ აღიარებს საროსკიპოების დახურვას, საექიმო-საპოლიციო ზედამხედველობისა და რეგლამენტაციის მოსპობას.

ჩვენც, რასაკვირველია, წინააღმდეგი ვართ პროსტიტუციის, ყოველგვარი რეგლამენტაციისა, რომელიც საზოგადოების წარუბოცელ ლაქას აცხებს ცხოვრების უკულმართი პირობების მიერ განწირულ ადამიანს, ისე ყოველგვარ საროსკიპო სახლებისა, რომელიც პროსტიტუტკათ გამხდარი დედაკაცის მუდმივი საპრობილეა, სადაც ის ჩაქედლია და საიდანაც ცოცხალი იშვიათათ გამოვა.

მაგრამ... ძლიერ ცოტაა ამით გაკეთებული პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში... პროსტიტუტკების რაზმი დღით-დღე იზრდება. რამდენათაც ვითარდება კაპიტალიზმი, რამდენათაც, ერთი მხრით დედაკაცის შრომა უფრო ხელსაყრელი ხდება კაპიტალისტისთვის, ხოლო მეორე მხრით მოუწესრიგებელი წარმოებისა და მანქანების გაუმჯობესების გამო მილიონობით ოჯახი ულუკმა-პურით რჩება, იმდენათ ვითარდება პროსტიტუცია...

და ამ მხრით ვერაფერს უშველის საქმეს საროსკიპოების დახურვა, ზედამხედველობისა და რეგლამენტაციის მოსპობა. ამ ზომას არსებული პროსტიტუტკების რაზმის შველა აქვს მიზნათ მით, რომ მათ ნებას აძლევს პატიოსან ცხოვრებას დაუბრუნდნენ, მაგრამ მომავალი რაზმის ზრდის შესაჩერებლათ იგი ვერ გამოადგება...

ჩვენ ვიცით, რომ თუ დღევანდელ საზოგადოებრივ ურთიერთობაში პროსტიტუციის მოსპობა შეუძლებელია, სამაგიეროთ, შესაძლებელია მისი რამდენიმეთ შემცირება, როგორც შესაძლებელია უმუშევრობისა და სხვა კაპიტალიზმის მიერ გამოწვეულ ბოროტებათა შემცირება.

და რაკი პროსტიტუციას აძლიერებს მუშათა კლასის პოლიტიკური და ეკონომიური უუფლებობა, ცხადია, სიეზს აქეთ უნდა მიექცია უმთავრესი ყურადღება. მას უნდა გამოემუშავებია ისეთი ზომები, რომლებიც აქეთკენ იქნებოდა მიმართული. მაგრამ მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ახალი, სიეზმა ვერაფერი სთქვა გარდა იმისა, რომ პირველმა სექციამ სასურველათ სცნო 18 წლ. ნაკლებ ქალებისა და ბავშვებისთვის მუშაობის აკრძალვა, სასურველათ სცნო პოლიტიკური ფუნქციებისგან თავისუფალი საფაბრიკო ინსპექციების დაარსება, რომელშიც ქალებიც მიიღებენ მონაწილეობას, და ბოლოს აღიარა, რომ ყველა ამ ზომების ცხოვრებაში გატარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ფართო პროფესიონალური კავშირები ექნებათ მუშებს და აგრეთვე აგიტაციის ნებასაც მისცემენო; მესამე სექციამ კი სასურველათ სცნო, რომ დაზღვევა რაც შეიძლება ფართოთ გავრცელდეს მუშა ქალებზედაცო.

როგორც ქვემოთ მკითხველი დაინახავს, სიეზმა 1 სექციის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია მიიღო იმ მუხლის გამოკლებით, საცა ლაპარაკია პროფესიონალურ კავშირებზე. ეს მუხლი კი თავმჯდომარე ფონ-ანრებმა არ დასვა გადასაჭრელათ იმ მოსაზრებით, რომ აქ პოლიტიკაა გატარებულიო. ამგვარათ, სიეზმა არ აღიარა პროფესიონალური კავშირების არსებობის აუცილებლობა და მით არ აღიარა მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ურომლისოთაც

შეუძლებელია პროსტიტუციის ხელის შეშლა და ყოველივე ზომა ამ მხრით მხოლოდ პალიატივაა.

მუშათა დელეგაცია კი ხმა მალა აღიარებდა, რომ აუცილებელია სიტყვის, კრების და კავშირების თავისუფლება, თუ გინდა მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მით პროსტიტუციის ხელის შეშლა, მაგრამ მათი ხმა დარჩა „ხმათ მღალადე“ლისათ...“

სიეზდის გახსნისას ბ. ფონ-ანრეპმა ბევრი ილაპარაკა მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, კავშირებისა და კოოპერაციების არათუ ნების დართვაზე, არამედ მთავრობის მიერ მათთვის ხელის შეწყობაზე, ილაპარაკა, წარმოიდგინეთ, მამაკაცისა და დედაკაცის უფლებრივთ გათანასწორებაზე, ერთი სიტყვით, ილაპარაკა ბევრ ისეთ რამეებზე, რაც გასაკვირი და დაუჯერებელიც არის ოქტომბრისტრიგან, მაგრამ... მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვები იყო, ეს მხოლოდ ჩვეულებრივი ოქტომბრისტული დაპირება გახლდათ და როცა საქმე საქმეზე მიდგა, როცა მუშათა დელეგაციამ მოითხოვა ფონ-ანრეპის დაპირებებზე სათანადო რეზოლიუციების გამოტანა, აქ უკვე იჩინა თავი ბ. ფონ-ანრეპისა და სიეზდის უმრავლესობის ფიზიონომიამ...

სამაგიეროთ, სიეზდმა გამოიტანა რეზოლიუციები ისეთ კითხვებზე, როგორც არის ქალებით ვაჭრობა, შუამავლობა, შეცდენა, მოტყუება და სხ. ეს ისეთი კითხვებია, რომლებიც თავის მხრით შედეგია მხოლოდ იმავე ეკონომიური პირობებისა, რომელთა გასაუმჯობესებლათ სიეზდმა არაფერი იღონა, და მათი აკრძალვაც სრულებით უნაყოფოა, ვინაიდან, სანამ თვით საქონლის გამოტანა არ შეფერხდება, მანამ არც ვაჭრობას შეეშლება ხელი, ხოლო ვაჭრობაში აუცილებელია შუამავლობაც და მოტყუებაც.

ამგვარათ, სიეზდმა თავის პირველი დანიშნულება — უმთავრესათ მუშათა დელეგაციის წყალობით — რამდენიმეთ შეასრულა, სანახევროთ გამოარკვია პროსტიტუციის მთავარი მიზეზები. აღიარა პროსტიტუცია სოციალურ პირობების შედეგათ. მაგრამ დანიშნულების მეორე მხარე — საბრძოლველი საშუალებების გამოძებნა — სიეზდის ბურჟუაზიულ-რეაქციონურა უმრავლესობამ სრულებით ვერ შესძლო: მან მთავარი საშუალებები დაივიწყა და ჩაებლაუჭა პალიატივებს, წამლობა დაუწყო შედეგის შედეგებს. ასეთი იყო სიეზდის მუშაობა.

ჩვენ არ შევჩერდებით სიეზდის უმრავლესობისა და პრეზიდენტის დამოკიდებულებაზე მუშათა დელეგაციისადმი, არ შევჩერდებით არც ადმინისტრაციის დამოკიდებულებაზე მათადმი. ვინც ადევნებს თვალს სიეზდის ანგარიშებს, მისთვის ნათელი იქნება როგორც ერთის, ისე მეორის საქციელი ამ მხრით...

უკანასკნელათ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავათ ყველა ზემო თქმულისა, სიეზდი ჩვენ მაინც დღეი უშრადლების ღირსათ მიგვაჩნია და მუშებს რაც მეტი წარმომადგენელი ეყოლებოდათ მასზე, მით უფრო მეტი მწარე სინამდვილე შეეძლოთ ეთქვათ, მით უფრო მეტათ შეეძლოთ ემზილებინათ ის საზოგადოებ-

რივი ურთიერთობა, ის სოციალ-პოლიტიკური ჩვეულებრივად რომელიც ბადებს და ავითარებს ასეთ ბოროტებათ.

ჩვენც უმთავრესათ ეს გვიანტერესებდა და რაზედ-ნიმეთ კიდევ შესრულებულია, ხოლო კითხვის პრაქტიკულ მხარეს, უეჭველია, მომავალი გაუწევს სათანადო ანგარიშს...

ასალგაზდა.

ქურნალ-გაზეთებიდან.

„ჩვენი გაზეთი“ (№ 29) ეხება ახლათ დამტკიცებულ წესებს სახელ.ოსნოებში მოქმედავითა ნორმალური დასვენების შესახებ. იმ წესებს, რომელიც ასე თუ ისე აღმოცენებულია 15 ნოემბრის (1906 წ.) დროებითი წესების ნიადაგზე. მისი შემუშავებელი იყო შერეული კომისია, განმხილველი — თფ. ქალაქის საბჭო და დამტკიცებელი — საგუბერნიო ადმინისტრაცია. გაზეთი სამართლიანათ აღნიშნავს, როგორც ქალაქის „მამების“ უყურადღებობას, ისე ადგილობრივი ადმინისტრაციის მხრით დახვედრებულ დაბრკოლებებსაც, რომელთა წყალობით 1906 წელს გამოსული კანონი მხოლოდ 1910 წელს მოყავთ სისრულეში. აგრეთვე სამართლიანია გაზეთის აზრი, რომ დროებითი და მათ ნიადაგზე აღმოცენებული ადგილობრივი წესები მუშ თა მოძრაობით არის მოპოვებული. უამისოთ მუშათა კლასს არსად არაფერს აძლევენ და, რასაკვირველია, იგივე უნდა განემორბეულიყო აქაც. ყოველივე ეს სამართლიანია, მაგრამ რა შვაშია აქ ძველი „ბოიკოტი“, რომელსაც ასეთი ირონიით იხსენიებს გაზეთი? უფრო გაუგებარია, როცა გაზეთი ძველ ბოიკოტს ისეთ „კამპანიაში“ ათავსებს, როგორც არის ქალაქის „მამების“ „სიზარმაცე“ და შეუგნებელთა გულგრილობა.

მესამე იმავე გვარ მოვლენათ პატივცემული გაზეთი სთვლის მაშინდელ ბოიკოტს. „აი, ამ სამთა „კომპანიამ“ შეუშალა ხელი ამ მხრით მუშაობასო“, ამბობს გაზეთი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ადგილი მხოლოდ ისტორიულათ შეიძლება აიხსნას. თორემ რა მოსატანია დღეს ძველი ბოიკოტი? ყოველ შემთხვევაში „ზარმაცობასთან“ და „შეუგნებლობასთან“ მას არავითარი კავშირი არა აქვს. ეს კარგათ უნდა იცოდეს თვით „ჩვენმა გაზეთმაც“. უნდა იცოდეს ისიც, რომ ბოიკოტი არასოდეს არ ყოფილა არავისი „პოლიტიკური სიბრძნე“. ის იყო მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯი, რომელიც სრულიად არ საკიროებს არავითარ გამართლებას, რადგან თვით წესების გამომცემელთა ტაქტიკით მართლდება იგი. ყველას ახსოვს, რომ 1906 წლის დამლევს მუშათა მოძრაობა კიდევ ძლიერი იყო. „წესების“ გამომცემელთაც სწორეთ ის უნდოდათ, რომ ახალი წესებით მოეღობათ მუშების გული, დაენახებიათ, რომ მთავრობა თვით ზრუნავს მუშებზე, მათი მდგომარეობის გაუმჯობესობაზე. ამით უნდოდათ ისინი ჩამოეშორებიათ მოძრაობისთვის. ამ დროს მუშათა ერთ ნაწილში დაიბადა ბოიკოტის აზრი. რა არის აქ დასაძრახი? ნუ თუ ის, რომ ბრძოლის დროს მებრძოლი წინ მიიწევს და არ კმაყოფილდება უკვე მო-



პოვეზულით? ასეთი იყო მაშინ მოწინავე პროლეტარიატის დიდი უმრავლესობის შეხედულება.

ყოველ შემთხვევაში საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ეს განსხვავება უკვე ისტორიას ეკუთვნის და დღეს სრულიად არ არის საჭირო ძველი განსხვავების ხაზის გასმა. მიმდინარე ცხოვრებაში და ახლო მომავალისთვის მზადებაში მეტათ ბევრია საერთო სამუშაო და უმჯობესი იქნება აქეთ მივაქციოთ ყურადღება. დღეს მოწინავე პროლეტარიატი უფრო დიდი და საგულისხმო საქმის წინ დგას, უფრო საშიშარი მოსვეისაგან არის საჭირო შინვე თავის დაცვა და ბევრათ უფრო სასარგებლო იქნება აქეთ ყურადღების მიქცევა, ვიდრე ძველ უთანხმოებათა მოგონება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოწინავე პროლეტარიატს აინტერესებს მომავალი და თანამედროვე მომენტი და არა ძველი შენ-ჩემობა, მით უმეტეს, რომ ამას არაფერი შეაქვს დღიური ვარამის გარკვევაში...

ს ა ზ ლ ვ ა რ - ბ ა რ ე თ ი

დასავლეთ ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებმა სასტიკი საარჩევნო ციებ-ცხელება განიცადეს. მოხდა საპარლამენტო არჩევნები ინგლისში, და მოსალოდნელია, რომ კიდევ მალე მოხდეს ხელმეორე არჩევნები; ამ რამდენიმე ხნის წინათ გათავდა არჩევნები საფრანგეთში; გათავებულათვე უნდა ჩაითვალოს არჩევნები ვენგრიაში...

საფრანგეთში საპარლამენტო არჩევნებმა ვერავითარი ცვლილებები ვერ შეიტანა ძალთა განწყობილებაში. არჩეული არიან: რადიკალები 248, რადიკალ-სოციალისტები 74, შეერთებული სოციალისტები 29, დამოუკიდებელი სოციალისტები 93, მემარცხენე რესპუბლიკელები 59, პროგრესისტები 71 და სხვ. რადიკალებმა და რადიკალ-სოციალისტებმა დაკარგეს ოცდა ერთი ადგილი, რეაქციონერებმა 9. შეერთებულმა სოციალისტებმა მოიგეს 20 ადგილი. მიუხედავად ამისა, უმრავლესობას ქვედა პალატაში შეადგენენ რადიკალები და მათი მონათესავე რადიკალ-სოციალისტები, რომელთაც ეკუთვნის 322 ხმა 597 ხმიდან. სხვა ყველა პარტიები რომ მათ წინააღმდეგ შეერთდნენ, უმრავლესობა მაინც ისინი დარჩებიან. მაგრამ მათი მოკავშირეები არიან აგრეთვე დამოუკიდებელი სოციალისტები და მემარცხენე რესპუბლიკელები. ამნაირათ, დღევანდელი მთავრობის მომხრეა ქვედა პალატის დიდი უმრავლესობა. ყოფილ სოციალისტ ბრიანის და მისიანების სამინისტროს ჯერ-ჯერობით მკვიდრი ნიადაგი აქვს.

ინგლისში კი ვერ არის ასე გამორკვეული ასკვიტის სამინისტროს ბედი. როგორც ჩვენ მკითხველებს მოეხსენებათ, დღევანდელ ლიბერალურ სამინისტროს მხარს უჭერენ ლიბერალებს (274) გარდა ნაციონალისტები (78) და მუშები (43). კონსერვატორებს კი, რომლებიც მემარჯვენე ოპოზიციას შეადგენენ დღევანდელ სამინისტროს წინააღმდეგ, 273 ხმა აქვთ. ამნაირათ, ნაციონალისტების დახმარება აუცილებლათ საჭიროა დღე-

ვანდელი სამინისტროსათვის, რომ უმცირესობაში დარჩეს. ნაციონალისტებმა კი თავისი დახმარება იმ პირობით აღუთქვეს, თუ ლორდთა პალატის რადიკალურ რეფორმას გაატარებდნენ. ლიბერალებმა აღუთქვეს მათ ეს რეფორმა და საქმესაც შეუდგნენ. რამდენათ შესძლებენ ლიბერალები თავისი დანაპირების შესრულებას, ეს ძნელი სათქმელია, რადგან შესრულება მარტო მათ სურვილზე არ იყო დამოკიდებული, მხოლოდ დღეს მათი მდგომარეობა ერთმა შემთხვევამ კიდევ უფრო გაართულა.

23 აპრილს გარდაიცვალა ინგლისის მეფე ედუარდ მეშვიდე და მისი ადგილი დაიჭირა მისმა შვილმა გეორგ მეხუთემ. იმ შეხედულებამ, რომ სამეფოს ბედ-იღბალს მისი მეფეები თავის სურვილზე ატრიალებნო, კარგა ხანია დრო მოჰპაა. ამა თუ იმ რეფორმის, ამა თუ იმ დაწყებულების ბედი სავსებით დამოკიდებულია მათ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ძალთა განწყობილებაზე. კერძო პირი, თუნდა ის მეფეც იყოს, სრულიად უმნიშვნელო როლს თამაშობს. განსაკუთრებით ეს ითქმის ინგლისის მეფეზე. ამ შემთხვევაში კანონი და სინამდვილე სრულიად დაშორდნენ ერთმანეთს. კანონით მეფე შეადგენს პარლამენტის ერთ ელემენტთაგანს. მეფეს სრული უფლება აქვს, დაამტკიცოს ან უარყოს ორივე პალატისაგან მიღებული კანონ-პროექტი. უამისოთ კი ვერც ერთი მათგანი ვერ იქცევა კანონათ. ნამდვილათ კი მეფე ხელს აწერს ყოველ ამგვარ კანონ-პროექტს. მის მონაწილეობას უბრალო ფორმალური ხასიათი-და შერჩა, როგორც იმ მოხუცებული ბიუროკრატისას, რომლის საქმეებს ფაქტიურათ მდივანი განაგებს, ის ყველაფერს, რასაც მდივანი მიუტანს, ხელს აწერს. ასეთი პირის სიკვდილი, როცა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში მიმდინარეობს, ვერაფერ გავლენას ვერ მოახდენს მასზე. მაგრამ დღეს ინგლისი პარლამენტარულ კრიზისს განიცდის. წამოყენებულია ლორდთა პალატის რეფორმა. ამ რეფორმის მიღება საზოგადოებათა პალატაში ლიბერალების, ნაციონალისტების და მუშათა დეპუტატების ხმით უზრუნველ-ყოფილია. ხოლო თითქმის აგრეთვე უზრუნველყოფილია ასკვიტის მიერ განზრახული რეფორმის გატარება ლორდთა პალატაში. თუ ეს ასე მოხდა, თუ ლორდთა პალატა გაჯიუტდა, მაშინ აუცილებელი შეიქნება მეფემ დანიშნოს ახალი პირები ლორდთა პალატაში. აი, აქ ეძლევა საშვალეობა მეფეს, დაბრკოლება აღმოუჩინოს სამინისტროს. ედუარდ მეშვიდე ერიდებოდა პარლამენტთან კონფლიქტს, გეორგ მეხუთე კი, გაზეთების სიტყვით, გულჩათხრობილი და ჯიუტი ხასიათის კაცია. საბოლოოთ, რასაკვირველია, ისიც იძულებული გახდება ძალას დაუთმოს, მაგრამ ჯერჯერობით კი შეუძლია არევიდარევა შეიტანოს პარლამენტის ცხოვრებაში. თუ ლორდთა პალატის რეფორმა ვერ მოხერხდა, მაშინ ნაციონალისტები ჩამოშორდებიან ლიბერალებს და ლიბერალური სამინისტროს არსებობა შეუძლებელი იქნება; ვერ იხიერებს ვერც კონსერვატიული სამინისტრო, რადგან არც ნაციონალისტები (თუ ჰომრულზე ჯარ დათანხმდნენ კონსერვატორები) და არც მუშები მხარს არ დაუჭერენ და მუდამ უმცირესობაში დარჩებიან. ამიტომ, პარლამენ-

ტის დათხოვნა და ხელახალი არჩევნები აუცილებელი შეიქნება. თუ მეფე პარლამენტთან კონფლიქტს არ მოისურვებს, მაშინ ახალი არჩევნები დროებით გადაიდება, სანამ „ცივილური ფურცელი“ (მეფის ჯამაგირი) არ დაშორდება და რეფორმის კითხვა საბოლოოდ არ გამოირკვევა. უკანასკნელ შემთხვევაში მთავრობა მაინც შეეკითხება ამრჩევლებს, რას ფაქრობს ის ლორდთა პალატის რეფორმის შესახებ. ასეა თუ ისე, საზოგადოების პალატის დათხოვნა მოსალოდნელია. თუმცა მაინც და მაინც მოულოდნელი არ იქნება, რომ ლიბერალები და კონსერვატორები დროებით შეთანხმდნენ, ლიბერალებმა უარი სთქვან თავიანთ „დემოკრატიზაციაზე“ და კოალიციონური სამინისტრო შეადგინონ.



რუსეთის ცხოვრება.

პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის სიეზი.

23 აპრილს პირველ სექციაში მოსკოვის მუშების წარმომადგენელმა პავლოვმა მოხსენება წაიკითხა მოსკოვის სტამბებში მომუშავე ქალთა მდგომარეობის შესახებ. მოხსენებელმა აღნიშნა, რომ სტამბის მრეწველობას თანდათან მრავალი დედაკაცი აწყდება. ამავე დროს დედაკაცი აქ ღებულობს მამაკაცის ქირის ნახევარზე ნაკლებს. დამქირავებლები სისტემატიურად არღვევენ და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ შრომის დაცვის კანონებს და მუდამ გაურბიან საფაბრიკო ინსპექციის ზედამხედველობას. ყველა ეს და ამასთან ერთად ცუდი სადგომები ხელს უწყობენ მათში პროსტიტუციის ზრდას. მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია. მუშათა დელეგატები: ბეკი, პავლოვი, განჩაროვი და ქ-ნი ივანოვა აღნიშნავენ, რომ შრომის კანონის მიხედვით დაცვის ერთადერთ გარანტიას მხოლოდ პროფესიონალური კავშირების არსებობა იძლევა. ქ-ნი ტირკოვა წინადადებას აძლევდა მუშა ქალებს, დედაკაცთა განსაკუთრებული ორგანიზაცია დაეარსებინათ. წინადადების წინააღმდეგ ენერგიულად გაილაშქრეს მუშების წარმომადგენლებმა.

თავის მოხსენების გარჩევის დროს პავლოვმა აღნიშნა, სასურველია, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის პროფესიონალურ კავშირებს შორის დამოკიდებულებას ხელს არ უშლიდნენ.

სექციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც საქიროთ სცნობს არსებულ საფაბრიკო ინსპექციებთან ერთად მოეწყოს ისეთი საფაბრიკო ინსპექციებიც, რომლებიც თავისუფალი იქნებიან პოლიციური ფუნქციებიდან და რომელშიც ადგილი ექნებათ ქალებსაც. რეზოლიუცია საქიროთ სცნობს აგრეთვე 18 წლისაზე ნაკლებ ქალების ღამით მუშაობის აკრძალვას. ხოლო ჯანმრთელობისთვის მავნებელ სამრეწველო დაწესებულებებში ქალებისა და ბავშვების მუშაობის მოსპობას. ყველა ამების ცხოვრებაში გატარება კი, რეზოლიუციის აზრით, შეუძლია პროფესიონალურ კავშირებს. კავშირებს კი მხოლოდ იმ პირობებში შეუძლიათ თავიანთი მოღვაწეობის ყოველმხრივად განვითარება, თუ ექნებათ ფართო აგიტაციის

უფლება და მათ საერთო პროფესიონალურ მუშაობას ხელს არაფერი შეუშლის.

რ. ლ. დეპუმა მოხსენება გააკეთა შემდეგ თემაზე: «1910 წ. მარტში პეტერბურგის პროსტიტუტკებს შორის მომხდარ ანკეტის მასალები». ანკეტას გამოურკვევია შემდეგი: სრული ეკონომიური დაუკმაყოფილებლობა, მოსამსახურის, ხელოსნისა და საერთოდ მშრომელი ქალების საშინელი უფლებები და ყოფა-ცხოვრების პირობები, — აი, პროსტიტუციის მთავარი მიზეზები. დედაკაცის ეკონომიური და უფლებები მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი ზნეობრივად და გონებრივად სათანადო სიმაღლეზე აყვანის შემდეგ პროსტიტუცია შესამჩნევად შემცირდება.

მესამე სექციაში ექიმ ელისტრატოვმა მოხსენება გააკეთა იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობს უფლება და ზნეობა ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ. მან განაცხადა, 1909 წლ. 25 დეკემბრის კანონით ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას ჩაეყარა მკვიდრი უფლებრივი საფუძველი. მაგრამ ამ კანონის ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა თვით საზოგადოების ენერგიული დახმარება. ქალებით ვაჭრობის მოსპობის ზომით უეჭველად აღიარებულ უნდა იქნას ამ მოვლენის საწინააღმდეგო კანონის გამოიმუშავება, დედაკაცის სხელით ვაჭრობას უფლებრივი რეაქცია უნდა გადაეღობოს წინ. მაგრამ ასეთი ზომა ცალმხრივი იქნება, თუ დედაკაცის უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად არ გაუმჯობესდება მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა, თუ არ იქნება ზომები მიღებული მშრომელი ქალების კულტურულად ასამაღლებლათ.

გ. ბ. სლიოზბერგმა აღნიშნა, რომ აუცილებელია, დაუყოვნებლივ ზომები იქნას მიღებული ბავშვთა პროსტიტუციის წინააღმდეგ.

ბ-ნი ტატაროვი წინადადებას იძლევა, გამოიმუშავებულ იქნას ფართული საროსკიპოების წინააღმდეგ საბრძოლველი ნორმები. ქ-ნი მიროვიჩი აღნიშნავს დედაკაცის მიერ პოლიტიკური უფლების მოპოების აუცილებლობას. ქ-ნი მილიუკოვა სასურველად სცნობს სკოლებში სექსობრივი მორალისა და გიგიენის სწავლებას. სასურველად მიაჩნია მას აგრეთვე ახალგაზდების წრეებში ამ კითხვებზე თავისუფლად მსჯელობა. ბ. ბოროვიტი-ნოვის აზრით ეგრეთ წოდებულ შუამავლობის წინააღმდეგ საქიროთ თვით საზოგადოებაში გაღვივდეს შეგნება. მისი აზრით, სიეზმა უნდა დაგმოს იმ გაზეთების საქციელი, რომლებიც ბექდავენ ისეთ განცხადებას, რაც არსებითად ქალთა ვაჭრობის საქმეში შუამავლობას წარმოადგენს.

24 აპრილს, 1 სექციის სხდომაზე მოსკოვის მუშა ქალების წარმომადგენელმა ქ-ნმა ივანოვამ წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „დედაკაცის ცუდი ეკონომიური მდგომარეობა, როგორც პროსტიტუციის მიზეზი“. მომხსენებელის აზრით, პროსტიტუციასთან ბრძოლა მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი, როცა ამას მოყვება აგრეთვე ბრძოლა ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად; მან სექციას წარუდგინა რეზოლიუცია, რომელიც



ალიარებს, რომ ის ზომები, რომლებიც ნაჩვენებია პავ-
ლოვის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში, გან-
ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა იქნება თავისუფ-
ლება სიტყვის, კრების და კავშირების.

ქ-ნ ივანოვას მოხსენების გამო პროფ. დრილმა აღ-
ნიშნა, რომ აუცილებელია საფაბრიკო ინსპექციამ ბოლო
მოუღოს ფაბრიკებში განახლებულ ჩხრეკას და აგრეთვე
იმ არა ნორმალურ მოვლენას, რომ დედაკაცებს მამაკა-
ცები ჩხრეკენო. ბ-ნი დრილი ყოველათ უფარგისათ სთვლის
საცხოვრებელ პირობებს და საჭიროთ მიაჩნია ფაბრიკებ-
ში სკოლების რიცხვის გამრავლება. მუშა ბეკი აცხადებს,
რომ დრილის მიერ ნაჩვენები ზომები სრულებით არ
არის საკმაო და პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლა არ
იქნება ნაყოფიერ, სანამ არ განხორციელდება ის, რაც
ნათქვამია ქ-ნ ივანოვას რეზოლიუციაშიო.

ბოქაულმა სხდომას გამოუცხადა მეორე გაფორმე-
ლება, მაგრამ შემდეგ თავმჯდომარას განცხადების გამო, —
რომ კრებამ ანგარიში უნდა გაუწიოს ფიზიკურ პირო-
ბებსო, — მან სხდომა სრულებით დახურა იმ მოსაზრებით,
რომ ის მოქმედებს არა როგორც ფიზიკური ძალის, არა-
მედ როგორც კანონის წარმომადგენელი.

მეორე სექციაში ბ-ნმა კრებლევმა გააკეთა მოხსე-
ნება ისეთ პერიოდულ ორგანოს დაარსების შესახებ,
რომელიც უნდა ეხებოდეს პროსტიტუციის წინააღმდეგ
ბრძოლის საკითხებს.

მესამე სექციაში ცხარე კამათი იყო იმის შესახებ,
დარჩეს თუ არა საექიმო-საპოლიციო ზედამხედველობა
პროსტიტუტებზე. სექციამ მოისმინა მრავალი მოხსენე-
ბები, რომელთაგან ყველა აღიარებდა რეგლამენტაციის
სრულ უფარგისობას. მხოლოდ ბ-ნი დი სენი იცავდა იმ
აზრს, რომ საჭიროა ამ ინსტიტუტის ქალაქის თვითმარ-
თველობის ხელში გადაცემა. ბ-ნმა ბოროვიტინოვმა
კრებას წარუდგინა წმ პროსტიტუტკას თხოვნა, რომ-
ლებიც აღიარებენ, რომ სიფილისით ავით ხდებიან იმი-
ტომ, რომ მათთან განურჩევლათ უშვებენ სიფილისით
დაავითმყოფებულ მამაკაცებს.

სექციამ ამ კითხვაზე მიიღო ასეთი რეზოლიუცია:

„ვისაიდან საქაიმი-საზოლიციო ზედამხედველობა სანიტა-
რული მხრით ვერ აღწევს თავის დანიშნულებას, ხოლო დედა-
კაცს მაჯაჭვულს ხდის პროსტიტუტისაზე, ვისაიდან ამრავლებს
პროსტიტუტების რიცხვს, დემონსტრირებდა შეაქვს ორივე სექ-
სის ახალგაზდობაში, მცხოვრებლებში და ზედამხედველობის
აკენტებში, ამიტომ და ფეხქვეშ თელავს დედაკაცის ადამია-
ნურ დირსებას, — ამიტომ სექცია ადგენს, ადირსს შეამდგომ-
ლობა მთავრებისა და საკანონმდებლო დაწესებულებების წინაშე,
რათა პროსტიტუტებზე მისზობად იქნას საქაიმი-საზოლიციო
ზედამხედველობა“.

სექციამ მიიღო აგრეთვე რეგლამენტაციის შესახებ
შემდეგი რეზოლიუცია:

„პროსტიტუტების რეგლამენტაცია, რადგან ის ვერ აღ-
წევს თავის დანიშნულებას, ხოლო დედაკაცის პირად დამოუკი-
დებლობას ხელს უშლის, — დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს, და
მის გაუქმებისთან ერთათ უნდა გამრავდეს სიფილისითა და

სხვა ვენერიულ ავთამოფთა საქაიმი ზუნტები, ტემპერატურისა
ეკვლასთავის ხელმისწდომი იქნება“.

შემდეგ მიიღეს მთელი რიგი რეზოლიუციებისა ფაბ-
რიკების მუშა ქალთა მდგომარეობის შესახებ. რეზოლიუ-
ციებში აღნიშნულია სახელმწიფო დაზღვევის მუშათა ფარ-
თო წრეებზე გავრცელების აუცილებლობა და სხ.

სალამოს შეერთებულ სხდომაზე მოხდა ინცინდენტი,
რომელიც დამთავრდა მოსკოვის მუშათა დელეგაციის
სიეზდიდან დემონსტრაციული გასვლით. პირველი სექ-
ციის რეზოლიუციის მოხსენების დროს პავლოვმა მოი-
სურვა დამატების შეტანა. თავმჯდომარე ფონ-ანრეპმა
რამდენჯერმე შეაჩერა ის. მაშინ პავლოვმა პრეზიდენტში
შეიტანა შემდეგი განცხადება:

„ღებულობდა-რა მონაწილეობას სიეზდის მუშაობაში, მოს-
კოვის დელეგაციას აზრათ ქონდა, გამაქმარავებია პროსტიტუ-
ციის ტექნიკური მიზნები, რომლებიც იმარჩება თანამედრო-
ვე ცხოვრების რთულ სიტუაციებში პირდაპირ. მაგრამ
მუშაობის პროცესში ჩვენ წინ გადაგვედგა მრავალი დაბრე-
ლებანი, როგორც თავმჯდომარის მხრით, რომელიც მუდამ აწ-
ვეტინებდა ღაზარაკს ჩვენ წარმომადგენლებს, არ უფრია კენს
ჩვენ რეზოლიუციებს, ისე ადმინისტრაციის მხრითაც, რომე-
ლიც მუდამ სწვევდა ჩვენი სექციის მუშაობას. ამიტომაც ჩვენ
საჭიროთ მაგვარჩნა დეტოფთ სხდომის დაბრახი“.

ბ-ნმა გრიგორიევმა სხდომას გააცნო საინტერესო
მასალები პროსტიტუტების თვითმკვლელობის შესახებ.
უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში თავი მოუკლავს
250 პროსტიტუტკას. თავს იკლავენ უმთავრესათ 16—20
წლისანი, ე. ი., თითქმის თავის ხელობის დასაწყისში.

შემდეგ სხდომა შეუდგა მომავალი სიეზდის მოწვე-
ვის შესახებ მსჯელობას.

ქ-ნ სლიოზბერგმა სურვილი გამოსთქვა, რომ მო-
მავალში სიეზდის კარები უფრო ფართოთ იქნას გაღებუ-
ლი და ნულარ იქნება განმეორებული ისეთი შემთხვევა,
როგორიც იყო სახ. დუმის დეპუტატ კუნენცოვის სი-
ეზდზე არ დაშვებოა*).

ბოროვიტინოვი წინააღმდეგია სიეზდის კარების გა-
ღებისა. „ყველა ქუჩიდან მოსულს არ შეუძლია სიეზდზე
დასწრება“, ამბობს ის. ქ-ნი მიროვიჩის აზრით სიეზდზე
დასწრება თავისუფლათ უნდა შეიძლებოდეს, რადგან
ამას შეუძლია ხელი შეუწყოს პროსტიტუციის წინააღ-
მდეგ ბრძოლის იდეის პროპაგანდასო. ქ-ნი კალმანოვიჩი
ამბობს, რომ სიეზდს აღწრდელითი მნიშვნელობა
აქვს, ამიტომ ის რაც შეიძლება ხშირი და მრავალრიც-
ხოვანი უნდა იყოსო.

დღის ორ საათზე ფონ-ანრების თავმჯდომარეობით
შედგა სიეზდის უკანასკნელი სხდომა. გადასწყვიტეს, მეო-
რე სიეზდი მოიწვიონ მოსკოვში. მომავალი სიეზდის
პროგრამაში სხვათა შორის შევა შემდეგი კითხვები: შე-
ცდენა, სქესობრივი დამოკიდებულების დროს მოტყუე-
ბისა და დაშინებისთვის დასჯა, პათიოსან ცხოვრებაში

* პრეზიდენტმა სიეზდზე არ დაუშვა დეპუტატი კუნენცოვი
თუმცა ამ უკანასკნელმა ყოველივე ამ შემთხვევაში საჭირო ფარ-
მალური პირობა შესრულა.

დაბრუნების მოსურნე პროსტიტუტკების დახმარება და სხ. უკანასკნელათ სივხდმა მოისმინა მილოცვები, თავის მხრითაც ზოგიერთ პირებს და დაწესებულებებს მადლობა გადაუხადა ხელის შეწყობისთვის და დღის 4 საათზე დაიშალა.

ლიც იმარხებოდა უკვდავ ეგნატეში. რაც არ უნდა გეცინოდეს ჩვენ გვწამს, რომ ეს შეურყეველ ენერგიას შემატებს მათ, ჩვენ გვწამს, რომ ეგნატეს მოგონება ბრწყინვალე მომავლისკენ მისწრაფებას გააღვიძებს თვითმუღში...

პარ-ი.

ეგნატე ნინოზვილი.

გუშინ, 8 მაისს, თექვსმეტი წელიწადი შესრულდა, რაც ე. ნინოზვილი მიეზარა სამარეს.

რალაც ყრუთ, გაურკვეველათ ჩაგესმის ხოლმე ეს ხმა ადამიანს, რალაც არ უნდა გულის დაიჯგროს, რომ მას შემდეგ თექვსმეტი წელიწადია...

— ეგ ხომ გუშინ, ან დიდი, გუშინწინ იყო?

მაგრამ... სინამდვილე მაინც თავისას გაიძახის.

უდროო, არაბუნებრივი სიკვდილი — და ისიც ისეთი მოღვაწისა და ადამიანისა, როგორც იყო ეგნატე — ყოველთვის რალაც განსაკუთრებულ სევდა-მწუხარებას იწვევს ხოლმე ადამიანში. ყოველთვის წარმოგიდგება თვალწინ ის მიზეზები, ის პირობები, რომელმაც უდროოთ გაგზავნა სამარეში ჯერ კიდევ ახალგაზდა კაცი, ყოველთვის — და ხშირათ შეიძლება უნებლიეთაც — თვალწინ აგეტუზება კმაყოფილი და უდარდელი სახე იმ ადამიანთა, იმ საზოგადოებრივი ჯგუფისა, რომელთაც ხელი შეუწყვეს ეგნატეს სამარისაკენ უდროოთ გამგზავრებას.

და იხედები ირგვლივ: დღესაც ხომ იგივე არ არის, დღესაც ხომ ისევე ბედის ამარა არ არიან მიტოვებული ჩვენი ახალგაზდა მუშაკნი, დღესაც ხომ აღარ არსებობს ისეთი საშინელი საზოგადოებრივი პირობები? დიახ, დღეს, თექვსმეტი წლის შემდეგ?..

მაგრამ, დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, — შენიშნა, რომ ამ მხრით ყველაფერი თითქმის ისე არის, როგორც იყო.

საშინელებაა ეს, სულის და გულის მომწამფლელი მოვლენაა, მაგრამ რას იზამთ! ასეთია სინამდვილე, რომელსაც, შეგიძლიათ დროებით თვალი მოარიდოთ, მაგრამ სამუდამოთ ვერ გაექცევით...

დააკვირდით ჩვენი ახალგაზდა მწერლების მდგომარეობას, გასინჯეთ მათი ყოფა-ცხოვრება! რას დაინახავთ? სრულ უნუგეშობას! მათ არაფერ ხელს არ უწვდის, არაფერ არ სთვლის თავს მოვალეთ დახმარება გაუწიოს... ექვი არაა, ასეთ მდგომარეობაში მთავარი ბრალი მიუძღვის არსებულ სოციალ-პოლიტიკურ ვათარებას, მაგრამ... ჩვენი ფიქრით დღესაც ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლებელი, რომ კიდევ არ განმეორდეს ეგნატესებური მსხვერპლები.

მარა ამას ჩვენში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ... სიკვდილის შემდეგ აქვითინდებიან ხოლმე!..

ყველა ამით ჩვენ სრულებით არ გვინდა ვისმეში გულგატეხილობა გამოვიწვიოთ. პირიქით, გვინდა, თვითმუღ გულწრფელ მუშაკს მიეუთითოთ ე. ნინოზვილის თავგანწირულებათზე, მის შეუდრეკელობათზე; გვინდა, მუდამ თვალწინ ედგას ყველას ის სულიერი ძალა, რომე-

ე. ნინოზვილის ხსოვნას.

შენს ობოლ საფლავს მივანდობ მწარ ფიქრთა სავეე ჰუნესა, რომ შენს მახლობლათ შეეცხო ობოლ სხივს მოსალმუნესა.

გადავშლი წყლულებს გულისას, ექვს ვამხელ აღმაფრენისას; შენთვის შეეკონავ თაიგულს იმედთა მტკიცე რწმენისას.

მომმეთა შორის მეც გიძღვნი სიმტკიცის ნიშან-სალამსა... და ნანატრ ყამსა, შეგების ხანს მანდვე დავუშვებთ ალამსა.

ვან. სვირიძელი.

გ ზ ა ზ ე.

ცხოვრების ველზე კენესა გაისმის, სიცოცხლე ქანება ტანჯვის მორვეში, აღთქმულ ქვეყნისკენ გული ისწრაფვის, ტურფა წალკოტით შემკულ მხარეში. ჩვენს გზას არ ფრავს ქორთა ყვაილი, არ დაქათქათებს სხივი ნათელი; ვარსკვლავს ციმციმი მონატრებია, წყვილიდი მეფობს საშიში, ბნელი. ირგვლივ ხმა ისმის, ხმა მოწოდების: — შორი გზა გიძევს წინ გასავლელი, ბევრი ვაება, ტანჯვა, წვალება შენი ხვედრია და განსაცდელი. დეე, ფეხები გჩხვლიტოს ეკალმა, სისხლით მოირწყოს მიღამო ბნელი, კრემლთ ნაკადულმა დაფაროს არე, გულმა მიიღოს მკაცრი სასჯელი, — ეს ნუ გაშინებს, ნუ, მეგობარო, შენ ვერ აცდები ამ გზას ეკლიანს, ტანჯვას ჩვეული ტანჯვას გადიტანს და გაითენებს დიად ვანთიადს!...

* *

როდის დავმშვიდდე, როს მოვისვენო, როსლა დაწყნარდეს გული, ნიაგო, ნება მომეცი შენთან მოვიდე, ფრთებში ჩაგეკრა, მალე მფრინავო! ერთათ გავფრინდეთ, გემუდარები, მალე ვიხილოთ ჩემი მშვენება,



ჩემი ვარსკვლავი სხივთ მოციმციმე,
ჩემ წალკოტი და მოსვენება!..

* * *

როდის დავმზვიდდე, როს მოვისვენო,
როსლა ამოხდეს გულით სიმწარე?..
ნუ მომიძულე გემუდარება,
შენსკენ მოვდივარ, ცელქო მდინარე!..
მარად მტოკავო, დაულაღავო,
მუღმივო მგზავრო, შეუბოვარო,
მინდა მე ჩემი გრძობა, ფიქრები
სრულათ გადმოგცე, შენ ჩაგაბარო;
მინდა გადმოვხდე, მკერდში ჩაგეკრა,
შენის სიმალით გულ ავზნებულნი,
ერთათ გავცუროთ, ვნახოთ ედემი,
ჩემი წალკოტი, დამშვენებული!...

* * *

ან და მდინარის პირას გავყვები,
გზაზე შემხვდება ტყე დაბურული,
ტყე გულ-ზეიადი, ამაყი სახის,
მხეცაა სამყარო, ჩაბნელებული:
ვიცი გამწირავს, არ შემობრალეზს,
ის არ შეისმენს ჩემსა ვედრებას,
ტოტიდან ტოტზე გადავდიოდე,—
გამირისხდება, არ მომცემს ნებას,
და, შეიძლება, მსხვერპლიც შევიქნე,
მშიერ ნადირთა ბნელ სამყაროში,
გული კი მაინც წინ, წინ მიილტვის,
ტურფა წალკოტის სამფლობელოში!..

* * *

მთასაც ავყვები, ბუმბერაზ მთასა,
მის მწვერვალოზე მე დავისვენებ,
ახლო მზის სხივებს ხელებს გავუწვდი,
გულში ჩავიკრავ, არ განვიშორებ:
მთისა და მთის შვა გაწოლილ სხივებს
მავთულათ ვიხმარ, მასზე გავყვები,
და მთის გადაღმა მდელიოს ვიხილავ,
ჩემს სატრფოს მკერდში ჩავეკონები!..

* * *

ადამიანმა შეძლო ხმელთა შვა
ზღვისა ტალღების დამორჩილება,
თვით ოკეანეც მან გადალახა,
ნახა იმედი, გულის მშვენება....
და, შესაძლოა, ზღვისა ღელვის ჟამს
კიდევ უთავინთქო უფსკრულ მორღეში...
გული კი მაინც წინ, წინ მიილტვის,
ტურფა წალკოტით შემკულ მხარეში!..

ბ. ბოლაძე.

ნამუხს ახდილი.

ჩის ძირათ იჯდა თმა გაწეწილი
და მოსდიოდა ცრემლები ღვარათ,
წვევდადის შავი სახარი კაღათ
მას მოეხანა თავსესაფრათ!

ვარსკვლავთა ციმციმს რომ გაქცეოდა,
ძირს დაეხარა ტანჯული თავი,
კაცს ავანება მკერდზე შესებით
და მოეგლიჯა, სურდა, ნიავი!

მთვარემ კეკლეუცა თავი ახოყა,
მოხდენით ცაზე იწეა ნავარდი,
ერთგვარ სიტუტეეს დაუმდრჩილა
ძირს არე-მარე, ზევით—ლავარდი!

მავრამ იმან კი... დავარგა ბანა,
მწველი იარა ასტეივდა მეტათ,
თითო ცელქ სხივის გაკლავარება
გრძნობას უგლიდა შესხარ რეტათ!

და ქვითინება: „ახ, მთვარეუ, მთვარეუ!
შენს ქვეშა ვდგევარ გაძარცული მე,
ნაცვლათ დაქსლაც უსაზღვრო ტრფობის
შურის ძიების დმერთი ვიწამე!“

„უბბმ წვევდადში გადაისრფელს,
ძლით მომგლიჯეს წმინდათა-წმინდა,
კარდა სმინელ შურის გების
აღარას ვეტრფი, აღარც-რა მინდა!“

„და რათ არ ძაღვიძს, მთვარეუ, აიღო,
ხელთ დაიჭირო ეს ჩემი გული,
თვითეულ შემხდამს გადაუშალო,
საკითხათ მისცე, როგორც რვეული!?!..“

„მე მაშინ მწარეთ, მწარეთ ვკიოდი,
ხმას ვაუფლებდი დამწველ კილას,
შველას ვითხავდი და ვახ!.. ეს გრძნობა
კაცში მწვარს გავდა სასაცილას!“

„თვით შენც მოხდენით ცის სივრცეში
დასრიალებდი ვით ეხლა, ისე...
ნეტაც შენს სხივებს არ გაუფრფოდა,
ვინც გამომტაცა მე სისხლისე!..“

რ. ლუჩხუბული.

ვარსულიდან.

(ნაწყვეტი).

საღამო იყო. ნელი ნიავი ნახათ ქროდა და
ოდნავ აშლილ ჯეჯილს წყნარათ არხევდა. საღლაც
შორიდან მოისმოდა მოწყენილი სიმღერა დღის განმავ-
ლობაში დაღლილ-დაქანცული მუშაკისა. აქ კი, ღელის
პირათ შაშვი გულის ამტოკათ სტვენდა. დაღლილიყო
ისიც და ახლა, დასვენების ჟამს, კვნესდა, მოსთქვამდა,
ხან კი მხიარულათ ჩაარაკრავდა და ამ რაკრავს ხმას
უერთდება პატარა რუს ჩქრიალი...

ლარბ, ფიცრულ სახლში ტანტზე იწვა ის, გამხდა-
რი გაყვითლებული. მისი ღვთაებრივი სახე მიმკრთალი-
ყო, სასიცოცხლო ფერი დაკარგოდა და გულზე ხელ
დაკრფილი ჰერს მიშტერებოდა. იქ კი, ჰერზე საამუ-
რათ თამაშობდა მზის უკანასკნელი სხივი, რომელიც
ფარღალალა კედლებიდან ქურდულათ შემოპარულიყო.

იქვე, ლოგინის კიდზე იდაყვ დაყრდნობილი იყო
მეორე ადამიანი. მას მოუშორებლივ მიეპყრო დაღვრე-
მილი თვალები ავათმყოფისთვის.



— იცი, ძმაო!... მე მხოლოდ... მხოლოდ ის ბჭუ-
ხებს, რომ რამდენიმე ხნით მუშაობას მოვცდები... მერე
ისიც ახლა, როცა... დიახ, მუშაობას მოვცდები... მუ-
შაობას...

მეგობარმ, გაკვარვებით მიაშტერა თვალა... მას გუ-
ლი აუყუჩდა... მაგრამ თავი შეიკავა, დაჩუმდა და ისევ
ისე მოუშორებლივ მიაპყრო თვალები ავანთყოფს...

— დამასუსტა, დამასნეულა, ძმაო... შიმშილმა...
და ახლა უნდა ვიწვევ... უნდა ვიწვევ .. ვინ იცის, სანამ-
დე...

მათ გადახედეს ერთმანეთს...

გავიდა წუთები... არ ირღვეოდა სიჩუმე..

ავანთყოფმა სუსტათ უმატა სუნთქვას... ფერი უფ-
რო გაუკრთა... ბაგეები ჩაუშემდა...

— ძმაო!.. მიშველე!.. თავს ცუდეთა ვგრძნობ... რა
მემართება?!..

— ნუ გეშინია, ეგნატე, ნუ გეშინია .. აი, წყა-
ლი!..

* * *

... მზის სხივმა უკანასკნელათ აკოცა ჭერს... არე-
მარეს ბინდმა გადაკრა. წუთით ყველაფერი მიჩუმდა,
მისწყდა ყველაფრის ხმა და მიდამო მოიცო გაურკვე-
ველმა, თითქო ბურუსით მოცულმა მდღმაჯებამ... ბად-
რი მთვარე ამობრწყინდა ცაზე. ნიავემა თამამათ გაიოი-
ნავარდა, ხიდან ფოთოლი ჩამოაგდო, ბალახს ნამა მოა-
ცილა და შორს, ტყისკენ გაქანდა მისაალერსებლათ...
მთვარის შუქმა საამურათ ააბრკვეილა ნამიანი მდელიო...
შორს ბუღბუღმა დასტვინა... შაშვმა მას მიძახილი უთ-
ხრა...

— ძმაო, ვკვდები!.. მიშველე!.. ჩემი „პარტახი“
დაუსრულებელი მრჩება... მომიტანეთ... კალამი... ქა-
ლალდი... უნდა დავასრულო... დავასრულო...

— მშვიდობით... ძმაო!... საუკუნოთ... ვცდები
საქ...მეს... ვშორდ...ები... სა...ცოც...ხ...ლეს... მშ...
ვი...დ...ო...ბით... მშვე...იდ...ო...ბ...ი...თ...

* * *

მთვარე ისევ დიდებულათ დასცქეროდა მიდამოს.
ბუღბუღი ისევ სტვენდა, შაშვიც დაუღალავათ ჭახჭახებ-
და. ნიავე კვლავ მარდათ დაქროდა არეში!...

მაგრამ ალერსის ნაცვლათ მხოლოდ საშინელ ამ-
ბავს ატყობინებდა მიდამოს...

— ეგნატე მოკვდა!— ჩაუჩურჩულა მან ბუნებას.

მაგრამ ბუნება არაფერს გრძნობდა. ის ისევ კოპ-
წიათ იყო მორთული და მწუხარებაზე არც უფიქრია.

— ეგნატე მოკვდა!— ჩასწივლა მან ყურში ქრის-
ტინეს.

ქრისტინემ ვერ გაიგო რაც უთხრეს, ვერ გაი-
გო, ვინ იყო ეგნატე და გონება არეულმა მიკიტანს
შაურიანი გადაუგდო არაყისთვის.

— ეგნატე აღარ არის!— შორეულ მადნებში მიმა-
ვალ სპირდონს ჩაუჩურჩულეს საიდანღაც.

— უთხარიო ეს ამბავი დესპინესაც, ორივენი ერთათ
ვიგლოვთ.

ნიავე გამალბული შეიქრა ტყეში და დაუსრულ-
ჩახუტებულ სიმონას მიუტანა საშინელი ამბავი, სიმონა
სწრაფათ წამოხტა და თოფი მოიმარჯვა... მაგრამ ნიავე
კვლავ განუმეორა...

— დამანებე, ნიავე, თავი! მე ვერ ვიცნობ ეგნა-
ტეს... ის ხომ ტყეში არ დადიოდა... იქნებ დარია იც-
ნობდეს... ის იყო სოფლათ!..

ნიავემ საყარაულოზე მიუსწრო კაცია მუნჯადეს და
იქ მიუტანა მწარე ამბავი, მაგრამ კაცია გაკვირდა...
პირველათ ესმოდა ეგნატეს სახელი...

დაუსრულებლათ ქროდა ნიავე, დაუსრულებლათ
აზნევდა არეში საშინელ ამბავს...

ბუნება კი ისევ ხარობდა, ისევ კოპწიათ იყო მორ-
თული...

თენდებოდა. მზე წარჩატათ ამოდიოდა.

მისი სხივები ახლა ცივ, უსიცოცხლო გვამს კოც-
ნიდა, ეალერსებოდა...

მაგრამ მას ვერ აზობდა, ჩალურჯებულ ფერს
ონდავათაც ვერ უცვლიდა...

ილ. მგელაძე.



ქართული ხელოვნება და სინამდვილე.

II

ასეთი ღრის ჩვენი ცხოვრების სინამდვილე. მაგრამ,
სამწუხაროთ, ჩვენი ხელოვნება ერთობ ჩამორჩა ამ სი-
ნამდვილეს.

აიღეთ, თუ გნებავთ, ქართული თეატრი, ხელოვნე-
ბის ეს ერთი საუკეთესო დარგი. თეატრი ერთი საუკე-
თესო იარაღთაგანია ხალხში ახალი აზრების, ახალი ფორ-
მებისა და გემოვნების გასავრცელებლათ.

რას წარმოადგენს დღევანდელი ქართული თეატრი?

ქართული თეატრის ხელმძღვანელთ ეს პროგრესისა
და განათლების დიდი იარაღი ძველის-ძველი, დახვედუ-
ლი და დრო გადასული აზროვნების ტაძრათ გადაუქ-
ცვიათ. აბა, კარგათ დაუკვირდით, თუ ჩვენი თეატრი
დღესაც იმავე აზრებს არ ემსახურება, რასაც თავის და-
არსების პირველ დღეებში ემსახურებოდა!

თეატრი, თუკი მას უნდა ცხოვრებას მასწავლებ-
ლობა გაუწიოს, თუკი მას უნდა ხელოვნების ტაძრათა
და სარკეთ დარჩეს, არ უნდა შეჩერდეს ერთ წერტილ-
ზე: ის წინ უნდა უძღოდეს ცხოვრებას.

მერე ასეთია ჩვენი თეატრი? სულაც არა, ის ერთ
წერტილზე გაყინულა; მისი მაჯის-ცემა შეჩერებულა;
ახალი ცხოვრების აღლო ვერ აუღია და მხოლოდ იმითი
იცოხნება, რაც მთელი ნახევარი საუკუნის წინათ შეუ-
თვისებია... აბა, რას ნიშნავს, თუ არ ჩვენი თეატრის
სიკვდილს, ის სამწუხარო მოვლენა, რომ ქართული თე-
ატრი იმავე აზრებით უმასპინძლდება ქართველ ერს, რომ-
ლითაც ნახევარი საუკუნის წინათ უმასპინძლდებოდა?!

ნუ თუ ამით არ აიხსნება ის, პირველი შეხედვით
გაუგებარი მოვლენა, რომ ქართული თეატრი ისე სეზონს

არ დაიწყებს, რომ დრო გადასული და მხატვრულ ღირსებას მოკლებული დრამა „სამშობლო“ რამდენჯერმე მაინც არ დაანახოს ქართველ საზოგადოებას? ჩვენი თეატრის მამინაცვლები იმას კი არ დაგიდევინ, რომ ქართველი საზოგადოების უფრო განათლებულ და შეგნებულ ნაწილს მხოლოდ სიცილსა გვრის ამ დრამის პატეთური ფრაზების რახა-რუხი:

— „მე გაჩვენებთ, როგორ უნდა სიკვდილი სამშობლოსათვისო“...

ვინ მოვანხენებთ, „სამშობლოს“, „დედა და შვილს“, „პატარა კახს“, პოემა „თორნიკე ერისთავს“ და სხვა ასეთ თხზულებებს დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა არ ქონდა თავის დროზე. პირიქით, ჩვენ მეტს ვიტყვი: მხოლოდ ასეთ თხზულებებს შეეძლო მაშინ გაეღობა და გაედნო ის სქელი ყინული, რომლითაც გარშემორტყმული იყო თანამედროვე საზოგადოება; მხოლოდ ასეთი თხზულებებით შესძლეს ჩვენმა დიდმა მწერლებმა მკითხველში საზოგადო, საქვეყნო ინტერესების აღზრდა და განვითარება. ჩვენს მოწინააღმდეგეებს ძალიან გაუკვირდათ ის გარემოება, რომ ქართველმა მშრომელმა ხალხმა და მისმა იდეოლოგებმა დიდი მონაწილეობა მიიღეს აკაკის ორმოცდა ათი წლის იუბილეის დროს. ამ გარემოებას ისინი ხსნიდნენ ნაციონალური იდეის გამარჯვებით.

ეს შემცდარი აზრია. აკაკიმ დიდი სარგებლობა მოუტანა ქართველ მშრომელ ხალხს, მიუხედავად იმისა, რომ პირადათ ამ კლასის ქირ-ვარაში მას არ გაუხდია ყურადღების საგნათ. სამაგიეროთ, აკაკის თხზულებები ის იმპულსი იყო, რომელმაც თვითეული ჩვენგანი თავის საკუთარ კერას მოგლიჯა, თავის პირად ინტერესებს მოაშორა. აკაკისა და სხვა ჩვენ დიდ მწერალთა თხზულებებმა ცხადათ დავანახვეს, რომ ჩვენ ჩვენი საკუთარი ფიზიკური დედის გარდა გვყავდა სულიერი დედა—სამშობლო, რომელიც ისევე ტკბილია, როგორც დედის ძუძუ. მათ დავანახვეს, რომ საკუთარ ინტერესებს გარდა ყველა ჩვენგანს აქვს საქვეყნო ინტერესები... ეს ერთობ დიდი ნაბიჯი იყო იმ დროსთვის. რაკი ჩვენში საზოგადოებრივი აზრი დაიბადა და გაიზარდა, რაკი ჩვენ ჩვენი ქვეყნის საზღვრები ვისწავლეთ, მერე ამ საზღვრებსაც ადვილათ გავსცდით, საკაცობრიო იდეალები შევისწავლეთ, საკაცობრიო ფერულში ჩავევით.

ამნაირათ, ჩვენში ძველმა მწერლებმა პირველათ გვასწავლეს ლოცვა, მათ მიგვიყვანეს საკაცობრიო ტაძრამდე და თუ რომელ ღმერთისთვის გვეცა თაყვანი, ეს ხომ მერე ადვილი იყო...

მაგრამ დღეს სულ სხვა დრო დადგა. დღეს ჩვენ ქვეყანას სულ სხვა რამე ესაჭიროება და თუ ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ხელმძღვანელნი კიდევ ამ ძველ, დრო-გადასულ აზრებს გვაწვდიან, აშკარაა, მათ თავისი მოვალეობა ვერ შეუღნიათ; ისინი, თუ მეტი არა, ნახევარი საუკუნით მაინც ჩამორჩენიან ცხოვრებას და რა გასაკვირია, თუ ცხოვრებამ ისინი გარიყა, მათი შრომა უნაყოფოთა და უბრალო წყლის ნაყვათ გახადა.

სამწუხაროთ, მათ ეს ჯერ ვერ შეუღნიათ და გაკ-

ვირვებული ეკითხებიან ერთმანეთს თავის უილაჯობისა და უსიციოცხოობის მიზეზებს...

სად არის ხსნა? როგორ დავაღწიოთ თავი ასეთ მდგომარეობიდან?

ბრძოლა სასტიკი და შეუბრალებელი ყველაფერს, რაც კი ხელს უშლის ჩვენი ხალხის გონებრივ წინ სვლას. შეუბრალებელი ბრძოლა ყოველი დრო გადასულის წინააღმდეგ, როგორც ცხოვრებაში, ისე ხელოვნებაში!

მხოლოდ ამას შეუძლია ჩვენი შველა. ჩვენში დიდი ხანია დაინგრა და გაქრენ ძველი კერპები თვით ცხოვრებაში. დღეს ისინი მხოლოდ ხელოვნებასა და აზროვნებაში დარჩენილან. კრიტიკამ ისეთივე სასტიკი და შეუბრალებელი ომი უნდა გამოუცხადოს მათ, როგორც თვით ცხოვრებამ ამ ოციოდე წლის წინათ გამოუცხადა მათ. კრიტიკამ უნდა გასწმიდოს ჩვენი ხელოვნება და მისი ტაძარი ძველი ქურუმებიდან; მან უნდა განდევნოს ისინი ამ უკანასკნელ თავშესაფარიდან.

ლიტერატურულმა კრიტიკამ... მაგრამ სადღა არის ლიტერატურული კრიტიკა?

ლიტერატურული კრიტიკა ჩვენ ლიტერატურაში იმ თავიდანვე უარყოფილი და აბუჩათ აგდებული იყო. ნაპ-დვილი ლიტერატურული კრიტიკის ნაცვლათ ჩვენში იმ თავიდანვე გამეფებული იყო ერთგვარი თავისი მრევლის კრიტიკა (критика своего прихода). ეს იმაში მდგომარეობდა, რომ თუ მწერალი იმ ერთხელ და სამუდამოთ გაბატონებულ აზრებს ღეჭავდა, რომელიც ჩვენი ლიტერატურის კორიფეებს თავის დროთა მიხედვით შეუმუშავებიათ, ის მწერალი კარგათ იყო აღიარებული; თუ იგი ამ გაბატონებულ აზროვნების ღალატს გაბედავდა და ახალ აზროვნებასა და ახალ მოვლენებს გაუწევდა ანგარაშს, ის კრიტიკისაგან უარყოფილი და დევნილი იყო.

ჩვენს ლიტერატურაში კრიტიკა, ლიტერატურულ ნაწარმოების კრიტიკა, მისი ღირსება-ნაკლულევენების დაფასება და აწონ-დაწონვა როდია; ჩვენი კრიტიკა თითონ ამ ლიტერატურულ ნაწარმოების ავტორის კრიტიკაა. თუ კრიტიკოსს მოსწონს პირადათ ავტორი, მის ნაწარმოებსაც აქებს, თუ არა და აძაგებს. თუ მწერალმა იმ იდეის გამოხატვასა და ქება-დიდებას შესწირა თავისი ძალ-ღონე, რომელსაც თვით კრიტიკოსი ემსახურება, ასეთი მწერალი ქვეყნის მხსენლათ იქნება აღიარებული, თუ არა და მტერათ, უნიჭოთ და ვინ იცის კიდევ რათ. რომ კრიტიკოსს ლიტერატურული ნაწარმოები მოეწონოს, საჭიროა, რომ თვით ეს მწერალი კრიტიკოსის მრევლს ეკუთვნოდეს, მასთან ერთ ეკლესიაში ლოცულობდეს, ერთ ღმერთს ემსახურებოდეს...

ასეთ კრიტიკოსთა მამათმთავარი ჩვენში ბ-ნი კიტა აბაშიძეა. ამ კრიტიკოსმა ჩვენს ლიტერატურაში მთელი სალიტერატურო აკადემია შექმნა; ეს თავისებური სალიტერატურო აკადემია მაღალ ნიჭიერისა და ზეგარდმო მაღლით დაჯილდოებულ მწერლებისა და პოეტების მოწმობას აძლევს იმათ, ვინც კი თვით კრიტიკოსს პირადათ მოსწონს, ვინც მის ლიტერატურულ სამრევლოში მოღვაწეობს.

ასეთ კრიტიკას სარგებლობის მაგიერათ მხოლოდ



ზარალის მოტანა შეუძლია; იგი საზარალოა როგორც იმ მწერლისთვის, რომლის ნაწერებსაც ავინებენ, კიდევ უფრო საზარალოა და მავნებელი მისთვის, ვისაც ქება-თა-ქებას ახამენ და გენიოსობის დიპლომს აძლევენ. ამის მწაწე მავალითები ახსოვს ჩვენს ლიტერატურას.

თუთხმეტიოდე წლის წინათ გაზეთ „კვალში“ ერთი-ორი თითისტოლა ნოველა მოათავსა ბ-ნმა ანდრია დეკანოზიშვილმა. ბ-ნმა კიტა აბაშიძემ დაშინვე ასტეხა განგაში: საქართველოს ლიტერატურული მზე ამობრწყინდა, ქართულ ლიტერატურას გიუ-დე-მოპასანი მოველინაო.

ასეთი დედა დიპლომის მიცემა ახალგაზდა დეკანოზიშვილისთვის, რომელიც ჯერ ლიტერატურულ ან-ბანსაც არ გასცილებოდა, რა თქმა უნდა, მხოლოდ სიცილს იწვევდა ყველა გონება საღ მკითხველში. ყველა განცვიფრებული ეკითხებოდა ერთმანეთს: თუ ბ-ნ დეკანოზიშვილს თავის ლიტერატურულ დაბადების პირველ დღიდან მოპასანობა დაუმტკიცეს, რა ჩინი უნდა მიეცეს მას, როცა ის მწერლობაში გამოიცილება და გონიერადაც დაეჯაკცდება?

ეს მართლაც საინტერესო კითხვა იყო, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს კითხვა მხოლოდ კითხვით დარჩა, რადგან, როგორც გვახსოვს, მას შემდეგ ბ-ნ დეკანოზიშვილს არაფერი არ დაუბეჭდია. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. აბა რა უნდა დაეწერა ახალგაზრდა კაცს ისეთი, რომ მოპასანის სახელი შეერჩინა და ისეთი დიდი იმედი გაემართლებია?... ბ-ნმა დეკანოზიშვილმა მწერლობისთვის თავის მინებება არჩია.

რუსეთის ისტორიამ იცის დრო, როცა დიდი კაცის შვილს დაბადებამდე აძლევდნენ აფიცრის ჩინს. ჩვენი კრიტიკოსიც ასე იქცევა: დაიწყებს თუ არა მწერალი „აღუს“ ტიტინს, ისიც მას პირდაპირ მწერლის ჩინს უბოძებს. ჯერ იგი არც კი დაბადებულა, როგორც მწერალი, არც კი ვიცით ქალი იქნება იგი თუ ვაჟი, ჯერ მისი მწერლობა ისეთია, როგორც ფეხ-მძიმე დედაკაცის მუცლის ნძრევა, — მაგრამ კრიტიკოსი გულ-უხვია: მისთვის საკმაოა, რომ თვით ეს ფეხ-მძიმე დედაკაცი იმ ეკლესიაში დადიოდეს სალოცავათ, სადაც თვით კრიტიკოსი ლოცულობს, რომ ეს „აღუს“ ტიტინი იმ ტაძარში გაისმოდეს.

ანდრია დეკანოზიშვილი პირველი და უკანასკნელი მავალითი არ არის ჩვენს ლიტერატურაში. მაგრამ ჩვენ იგი მხოლოდ ნიმუშათ მოვიყვანეთ.

მოსალოდნელი იყო, რომ მას შემდეგ, რაც არც ერთმა მის მიერ ცამდე აყვანილმა ახალგაზდა მწერალმა იმედი არ გაუმართლა, ბ-ნი კიტა აბაშიძე ცოტას მაინც მოუკლებდა ასეთ გულ-უხვობას და ასეთ დიდ-დიდი დიპლომების მიცემას, მაგრამ მოვსტყუვდით: ბ-ნი კიტა ასევე ისე ქართველურათ გულ-უხვი დარჩა. ის ისევე გრძნობის კრიტიკოსათ დარჩა და ვინც კი მოეწონება, მაშინვე გენერლის ჩინით დააჯილდოებს. ასე მოეპყრო ის წარსულ წელს ახალგაზდა პოეტს ალ. შანშიაშვილს, რომელიც ნ. ბარათაშვილს, ილიას და აკაკის ამოუყენა გვერდში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი შანშიაშვილი ჩვენ დიდ იმედებს გვიღვიძებს, ის ჩვენ ნიჭიერ პოეტათ მი-

გვაჩნია; თუ იგი არ აყვა ჩვენი საზოგადოებას ნაწილის ფეხის ხმას და მათ სურვილზე არ ააჟღერა ჩანგი, ის თვალსაჩინო კვალს დასტოვებს ქართულ მწერლობაში. მაგრამ ჯერ მისი ამორჩევა და ნ. ბარათაშვილთან წამოსკუბება, უსამართლო, და თუ გინდათ, პირდაპირ მავნებელიც არის. მაგრამ ბ-ნი კრიტიკოსი ამას არ დაგიდევს — შანშიაშვილმა სამშობლოს სიყვარულზე დაიწყო წერა; ეს კი ჩვენი კრიტიკოსის სუსტ მხარეს შეადგენს. მანც ასწია და დიდი ჩინი უბოძა მას, თუმცა იმავე დროს არც ერთი ახალგაზდა ქართველი პოეტი არ გახდა თავისი ყურადღების ღირსი; ყველა ამათ ერთათ გაუჭრა ერთი ძმური სამარე და ერთათ ჩაუშვა შიგ: ის ისე გულქვით მოეპყრა ამ ახალგაზდა პოეტებს, რომ მათ ძმურ საფლოავის ქვას მათი სახელიც არ დააწერა, რომ ჩამომავლობას სცოდნოდა მათი არსებობაც.

„მე არ მინდა მათი სახელები ჩამოვთვალო, ყველა ესენი გულის ამღვრეია და ყველას ნაწერები იმის მაგალითია, თუ როგორ არ უნდა სწერო ლექსები: მშრალ-მშრალი ტრაქტატები, პირუტყვიანი იმედები და სასაცილო სიმხნევე („დროება“, 1909 წელი, № 1).

სამაგიეროთ შანშიაშვილი „მრავალ გრძნობიერია, მას სევდაც აწვება გულს, იმედიც ხანდისხან უშუქს მიაფენს, ენტუზიაზმიც აქვს, ბუნების საიდუმლოების ყურის გდებაც იცის და გაგებაც“.

ჩვენ, რა თქმა უნდა, კრიტიკოსს არ ვამტყუნებთ. მას მოსწონს შანშიაშვილი და სრული უფლება აქვს ბარათაშვილის სამეფოს მემკვიდრეთ გამოაცხადოს. თუ ბ-ნმა დეკანოზიშვილმა ერთი ფრჩხილის ტოლა ნაწერით გიუ-დე მოპასანობა მიიღო, შანშიაშვილმა რათ არ უნდა მიიღოს ბარათაშვილის, აკაკის და ილიას მემკვიდრეობა?

მაგრამ საქმე ის არის, რომ ასეთ გადაქარბებულ ქებათა ქებას ყოველთვის ცუდი შედეგი მოსდევს, როგორც თვითონ მისთვის, ვისაც ასეთ ქებას უძღვნებენ, ისე თვით ქართული ლიტერატურისათვის. თუ დეკანოზიშვილს ისეთმა ქებათა-ქებამ წერაზე სულ ააღებინა ხელი, ბ-ნ შანშიაშვილზე კი სხვა გვართ იმოქმედა ასეთმა ქებათა-ქებამ. რაკი იგი ბარათაშვილს ამოუყენეს გვერდში, მანც ბარათაშვილს დაუწყო ბაძვა; თავის თავი კმუნვისა და კაენის წყაროთ წარმოიდგინა და მოყვა წუწუნს. წიკითხეთ მისი სონეტი „მოდი სიკვდილო!“, რომელიც მან დაბეჭდა ბ-ნი კიტა აბაშიძის ზემოთ მოყვანილ კრიტიკის შემდეგ (იხ. «დროების» დამატება, № 3, 1909 წელი).

სული მჭუნჯარებს... ცრემლი იღვრება...
 ვერსად ვხვდე თავსესაფარი;
 აღრე დამიჭუნა ედემის ვარდი,
 თავსა დამბდუის მრისხანე ქარი.

როგორც კიტა აბაშიძეც მოწმობს, ბ-ნი შანშიაშვილი ჯერ სულ ბავშვია, ცხრამეტა წლისაც ძლივს არის. მაშ, რა მოხდა ასეთი, რომ ის ასე აღრე დასტირის თავის ედემის ვარდის დაქნობას? ჩვენ ეჭვი გვეპარება: ქონდა კი ჯერ ბავშვ შანშიაშვილს ედემის ვარდი? ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არა. მისი ედემის ვარდი ჯერ არ გაფურჩქნია, ის მხოლოდ ეხლა იკოკრება. ჯერ შან-



შიაშვილმა არ იცის ის მწველა გრძობა, რომელსაც გრძობს პოეტი, როცა ხედავს, რომ „ედემის ვარდი დაუქანა“. მაგრამ თუ ის მაინც სწერს, ეს იმიტომ, რომ ბ-ნმა კრიტიკოსმა, რომლის სიტყვასაც პოეტი უჯერებს, პოეზიის საგნათ მხოლოდ სიკვდილი, უიმედობა, უილაჯობა, ედემის ვარდის დაქანობა და სულის ობლობა აღიარა.

იმედი, სიცოცხლე, ბრძოლა—ყველა ეს კრიტიკოსმა „პირუტყვულ გრძობათ“ გამოაცხადა. და ეს მაშინ, როცა ჩვენ თვალ-წინ სიცოცხლე სდულს და გადადულს, როცა ქართველმა ხალხმა დიდხანია დაამხვრია მონობის ბორკილები და საკაცობრიო საქმეს შეუდგა...

სასოწარკვეთილებას, ტირილსა და წუწუნს გვასწავლიან მაშინ, როცა თვით ცხოვრება სასოცოცლოთ გვიწვევს.

სილაჩრესა და უილაჯობას გვსახავენ ხელოვნების იდეალათ მაშინ, როცა სინამდვილე საბრძოლველათ წინ გვგვერეკება!..

ყაბიძი.



ფიქრები და შთაბეჭდილებანი.

„... და ისევ ფიქრი ფიქრებით,
კვლავ ფიქრი უკვე ნაფიქრს“...
პ. ცუქსიძეალი

I

ისტორიაში ცნობილია, რომ ყოველი გარდამავალი ეპოქა, ნკრევა-შენების ხანა, განსაკუთრებით რევოლიუციონარული პერიოდია, სავსეა მრავალგვარ ხალხურ საზოგადოებრივ ხასიათის მოვლენებით. მთელი საუკუნოების განმავლობაში ჩვენთვის შეუმჩნეველ მოვლენათა ის მხარეები, რომლებიც დღემდე უხილავი იყო, ამ სოციალ-პოლიტიკური კატასტროფის ეპოს ერთბაშით იშლება ფართო საზოგადოების წინაშე და პირველ ხანებში დიდი არეულობა შეაქვს მის აზროვნებაში. და აი, აიტომაცა, რომ ამ მოვლენათა ახსნა-ვანმარტება, მათი ძირითადი მიზეზების გამოძეწა და, რაც ყველაზე უჩველესია, მათ შორის ერთაწილის აღდგენა, ერთგვარ კავშირის, ლოდიკის დაცვა, ასე უჭირს მოუმზადებელ გონებას...

ამიტომაცა, რომ საზოგადოების დაზარალებულ-დაზარებულ ნაწილი მოუმზადებელი და გამოურყვეველი ხდებოდა ხოლომე ყველგან და ყოველ დროში ყოველგვარ საზოგადოებრივ მოძრაობას...

რუსეთის ხალხის მშრომელი ნაწილიც სწორედ ასე მოუმზადებელი შეხვდა რუსეთის რევოლიუციონარული ეპოქას... მეტსაც ვიტყვით: არა თუ მშრომელი ნაწილი, თვით ისიც კი, ვინც თავის თავს „შეუგნებელი სტიქიური მოძრაობის შეგნებულ გამომხატველათ“ სთვლიდა, სრულიად მოუმზადებელი, ისტორიულათ გაუწვრთნელი და პოლიტიკურათ უსუსური გამოდგა...

მართალია, პოლიტიკას თან სდევს მუდამ ერთგვარი რყევა, რომელიც გამომდინარეობს უმთავრესათ „მაიმო-

რავე“ სოციალურ ძალთა“ ისტორიული მისიის შესრულების უციოდინარობისაგან და ხშირათ მომენტის, სიტუაციის შეუცნობლობისაგანაც, და ამ რყევას განიცდის ხოლომე არა მარტო პოლიტიკურ ასპარეზზე ახლან გამოხული ძალები, არამედ თვით ისიც კი, ვინც მთელი წლების განმავლობაში სახელმწიფო მართვა-გამკეობის სათავეში დგას, რის გამოც, ერთი შეხედვით, მეტი სიმტკიცე, მეტი შორს მჭვრეტელობა, მეტი პოლიტიკური გამჭრიახობა უნდა ქონდეს... მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მმართველთა შეცდომებზე მითითება, მათი პოლიტიკური სიბეცის აღმოჩენა ოდნავაც არ ათავისუფლებს განმახლებელ ძალებს იმ პასუხმგებლობისგან, რომელიც მოუხდება მათ ხოლომე სახალხო საქმის წაგება თუ მოკვების დროს...

ყოველი სახალხო, მასსიური მოძრაობა უტყუარი გამოცდაა საზოგადოების შემოქმედებითი ნიჭისა და მის ძალთა ორგანიზაციისა. განმათავისუფლებელი მოძრაობაც სწორეთ ასეთი გამოცდა იყო რუსეთის გაერთიანებული დემოკრატიისთვის.

დაახ, განვიღომა მოძრაობამ გამოსცადა რუსეთის გაერთიანებული დემოკრატია, როგორც მთელი; სამაგიეროთ, რეაქციამ საეგზარენოთ გამოიწვია ხალხს წინამძღოლნი, საზოგადოებრივი აზრის და მიმართულებათა წარმომადგენელნი. მერე რა მოხდა? მოხდა ახირებული რამ ვერც ერთა ვერ გამოცხადდა „ეგზამენატორის“ წინაშე. ყველამ წინდაწინ განაცხადა: ჯერ მოუმზადებელი ვართო.

ამაირათ, დადგა წამი, როცა ყოველი აზრი, მიმართულება, ხელახლა სასწორზე დაიდო, როცა უნდა მომხდარიყო გარდაფასება ყველა ღირებულებათა. ასეც მოხდა. მთელი ინტელიგენცია, თვით პოლიტიკური პარტიებიც, შეუდგენ აზრის, მიმართულებისა და პროგრამა-ტაქტიკის გადასინჯვას, რასაც შედეგათ მიუვა საშინელი არეულობა: ენები აირივნენ და „ბაბილონის გოდოლიც“ დაანგრა!..

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აქ მოხდა მხოლოდ როლების გაცვლა-გამოცვლა. რაც დაკარგა რევოლიუციამ, ის სრულიად დაისაკუთრა რეაქციამ. ამაირათ, გუშინდელი „შეგნებული გამომხატველი შეუგნებელ სტიქიური მოძრაობისა“ დღეს ექვებს, სკეპტიციზს შეუპყრია და ობიექტიურ, მეცნიერულათ დასაბუთებულ იდეალშიც კი ექვა ეპარება. ის დღეს უფრო „მაძიებელია“, ვინემ ორტოდოქსი! და აი, სწორეთ ამაზე ითქმის პოეტის სიტყვები:

და ისევ ფიქრი ფიქრებით,
კვლავ ფიქრი უკვე ნაფიქრის...

ამ ყოფაში, ასე უიდელოთ, აგერ თითქმის ხუთი წელია, დახეტილობს რეაქციის უდაბნოში რუსეთის პროგრესიულ აზროვნების უკომპასო გემი და მასთან მთელი რუსეთის საზოგადოება...

აი, ამ ნიადაგზე წარმოიშვა ის „ახალი“ მიმართულება, რასაც გ. პლენხანოვი უწოდებს „რელიგიოზურ მადიებლობას რუსეთში“ *) და რომელიც თავისთავათ ორ

*) იხ. „Современный Мирь“, №№ 9, 10, 11. 1909 г.



შტოა განიყოფება: ღვთის მადიებლობა და ღვთის მადიებლობა. ამავე ნიადაგზე წარმოიშვა აგრეთვე ის ენებაა ღვთის თეორია და მთელი პორნოგრაფიული ლიტერატურა, რომლის ნიჭიერ წარმომადგენლათ ითვლებიან არცბაშვი, კუზმინი და სხვები.

ბევრს ისე მოეწონა ასე უიდეალოთ ხეტაილი ამ შავ-ბნელ რეაქციის ხე-ხუცებში, რომ მზათ არიან დაგმონ ყოველი პროგრესი და გაბატონებულ რეაქციის სულს ჩამდგმელ მესვეურსა ფეხთა მტვერი გახდენ. ამ მზრით ძლიერ დამახასიათებელია ცნობილ კადეტთა პროფესორების პ. სტრუეს მეთაურობით გამომცემული კრებული „ვეხი“. (1909წ.) ამ კრებულს ძირითადი თეზისი, აზრი ასეთია: რუსეთის რევოლუციის დამარცხების მიზეზი არის ინტელიგენცია, ვინაიდან ამ ინტელიგენციას არა სწამს ღმერთი და მის მაგივრათ ხალხს აღმერთებს. მაშ, ძირს ხალხს გაღმერთება! გაუმარჯოს «ნამდვილ» ე. ი. ხეკურ ღმერთს, გაუმარჯოს ეკლესიას! აი, მათა სადღეისო ლოზუნგი, აი, მათი სიმბოლო სარწმუნოებისა. ერთი მათგანი ასე ათავებს თავის წერილს: ვებრუნდები ეკლესიას და ვითხოვ ვალინის არხიებისკაპოსისაგან შენდობა-ლოცვა-კურთხევას და ვკოცნი მის ხელსო.

მეორე მიმართავს რუსეთის მოქალაქეებს შემდეგი სიტყვებით: თქვენ თაყვანი უნდა სცეთ მთავრობას (იკუთლებს სტალინის რეაქციონური მთავრობა) რომელიც გვიცავს ჩვენ, — ინტელიგენტებს, ხალხის რისხვისაგანაო.

და მართლაც, ვინ არ იცის, რომ დღემდე რუსეთში პოლიტ. რეაქციასთან ერთათ მძვინვარებდა სასტიკი და მასთან საშიში ფსიხიური რეაქცია, თუმცა სოციალური დემოკრატია ნაკლებათ ემორჩილებოდა მის გავლენას (მან უფრო ინტელიგენციაში და მოსწავლე ახალგაზღვრებაში მოიკიდა ფეხი). და რამდენათ ის დროებითია, უკეთ, სტუმარია დემოკრატიულ წრეებში, იმდენათ, საბოლოო ანგარიშით, საშიში არ არის, თუმცა აღორძინების საქმეს დიდათ უშლის ხელს...

ბევრი ფიქრობს, რომ პოლიტიკურ რეაქციას მოყვება რუსეთში ფსიხიური რეაქციაო, მაგრამ ეს მართალი არ არის ჩვენ ვიცით, რომ ყოველი სახალხო მოძრაობა, მით უფრო რევოლუციონური და რესტავრაციონური, კლასობრივი შინაარსისაა, თუმც ხშირათ უკანასკნელი ნაციონალურ და სარწმუნოებრივ მანტიასაც ეხვევა (ჯვაროსანთა ომები საშველო საუკუნოებში, ნაპოლეონ პირველი და მისი ომები მეთვრამეტე საუკ. და სხვა) თუ 1905 წ. 17 ოქტომბრამდე ასე თუ ისე რადიკალობდა ჩვენი ბურჟუაზია, პროლეტარატის, როგორც კლასის დაძოვილებლათ გამოსვლამ ოქტომბრის დღეებში გააკონსერვატორა და ერთხელ და სამუდამოთ კონტრ რევოლუციის ბანაკში გადაისროლა ის.

ასე, რომ ცნობილ ვიტტე-დურნოვოს პოლიტიკურ რეაქციას საფუძვლათ დაედო ფსიხიური რეაქცია „ლიბერალური ბურჟუაზიისა“, ბურჟუაზიულ აზროვნება-იდეოლოგიისა.

და თუ დღეს „მაგარია“ სტალინის მთავრობა, თუ ის — წარბშეუხრელათ წამოიჭიმება ხოლმე სათათბი-

როს ტრიბუნაზე და დიდი რიხით ამბობს თავისი მთავრობის ყოველგვარ მოქმედებას, ეს უმთავრესათ იმით აისხნება, რომ მის პოლიტიკას, თუ მთლათ არა, ორ მესამედში მაინც ურიგდება რუსეთის გაკოტრებულ „ლიბერალიზმის“ სანდისი...

მინისტრ ვიტტეს ეშინოდა რუსეთის „ლიბერალიზმისა“ და მის წარმომადგენელ კადეტებისა, სტალინის კი მასხრათ იგდებს მათ, ვინაიდან ვიტტეზე უკეთ იცის, თუ რა მაგარი და პრინციპიალურია მათი ლიბერალიზმი. კადეტები დასკინიან ოქტომბრის ტებს: თქვენ ცდაში ამოგხდებათ სულიო, თუმცა ეს „ტაქტიკა“ ოქტომბრის ტებმა კადეტებიდან გადაიღეს.

ამნაირათ, რუსეთის ბურჟუაზიის რეაქციონური აზროვნება (ეკლექტიკურა ფალოსოფია) საესებით დაედო საფუძვლათ მის, როგორც წმინდა პოლიტიკურ აზროვნებას, ისე მთელ მხატვრულ-დრამატიულ ლიტერატურას. ჩვენი ბურჟუაზია ინახავს რელიგიას, ეკლესიას, სახელმწიფო წესწყობილების ძველ, დახავსებულ ფორმებს; ის ისეთივე პოლიტიკას ადგია, რასაც ევროპის ბურჟუაზია დადი ხანია დაადგა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იქ პროლეტარიატი გამოვიდა საკუთარი იდეალით, საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაციით, საკუთარი ინტერნაციონალური სოციალისტური დროშით. ასე, რომ რუსეთის ბურჟუაზიის ფსიხიური რეაქცია თითქმის არაფრით განსხვავდება იმ რეაქციისაგან, რაც დღეს მძვინვარებს ევროპაში და ეს იმიტომ, რომ რუსეთის ბურჟუაზიას, როგორც ევროპისას, ძილს და მოსვენებას არ აძლევს „წითელი საფრთხე“, რომლის არა თუ დანახვა, ერთი მოგონებაც შიშის ზარს გვრის...

მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, რუსეთი ამ მდგომარეობაში ვერ დარჩება. თითო ოროლა პირს, ჯგუფებს და თვით გაბატონებულ კლასებსაც შეუძლიათ თავი შეაფარონ ლ. ანდრეევის სიმბოლიზმს და მერვეყოველი მინსკის მისტიციზმს, მათ შეუძლიათ აგრეთვე არცბაშვი და კომპანიის „წუთიერ დატკობაში“ ეძიონ იდეალი, რუსის კაპიტალსაც შეუძლია დროებით თავი შეაფაროს სტალინის მთავრობას, მაგრამ მთელ ხალხს და განსაკუთრებით დემოკრატას — პროლეტარატს და გლეხკაცობას, — მასთან მთელ პროგრესიულ ინტელიგენციას, არ შეუძლიათ ოცნებითა და სიმბოლოთი ცხოვრება. ამ კლასებს აინტერესებს სინამდვილე, რეალიზმი ვინაიდან მდგომარეობა სისწრაფით იქითკენ ერეკება მათ, ვინაიდან მათ აქეთ იდეალი და მათი მისიაც დადებითია. და თუ ცხოვრება დღეს ოდნავ „მინც ბრუნავს“, თუ რეაქციის პარპაშს თან და თან ფრთები ეკვეცება, ეს ამ კლასების აღორძინებას უნდა მავაწეროთ, რომლებიც ამ რეაქციის დროსაც კი შეძლების დაგვართ მაინც ახერხებენ თვითგაღორკვევას, თავიანთ ძალების კონცენტრაციას, მაგრამ ამაზე შემდეგ წერილში.

ს. მარტული.



მ უ შ ა თ ა მ ო რ ი ს.

მემანქანეთა ცხოვრებიდან.

თფილისის რ. გზ. დეპოში მუშაობს 100 მემანქანე და ამდენივე თანამშრომელი. მემანქანეები განყოფილების ორ კატეგორიათ: ზირველს ეკუთნის სხვადასხვა მატარებლის მემანქანეები, მეორეს — საქონლის მატარებელზე მისიარულენი. ზირველნი იღებენ თვეში ჯამაგირს არა ნაკლებ 150—200 მ., მეორენი კი 100—150 მ., თანამშრომლები დასვლებით მათ ჯამაგირის ნახევარს, ე. ი. 50—80 მ. — თავის „ზრემიებით“. ამ უკანასკნელთა ჯამაგირები დიდ არაფერს წარმოადგენს მათი ჯოჯოხეთურ მუშაობასთან შედარებით. მათვის არ არსებობს არავითარი სარგებლო დასვენება. უმეტესი ნაწილი, თითქმის 80%, ნერვების ამოღებით არის ავით. მაკალითისთვის მოვიყვანო ერთი შემთხვევა: მატარებელიდან მოდის მემანქანე და მას ატეობნიებენ ცილის გადაცვლას. მაგრამ ის ამას ეურადღებდა არ აქცევს, მიდის, „ნარიადს“ სინჯავს და კვლავ მატარებელში მიიხიარის. ასე ხდის არა ერთი და ორი, არამედ დიდი უმეტესობა.

მათ ზრემიებს შეადგენს: მასუთი, „გერსტაფი“ და რემონტის ფული. ყველაზე მეტ თავსატეხ ვითხვათ მემანქანეებს გადაქცათ რემონტის ფული.

ამერიკულ მიმოსვლის დროს (Американская жзда) რემონტის ფულს იღებდნენ ხელისხები, მაგრამ სხვა და სხვა მოსახრებით რეინის გზის აღმინისტრაციამ მემანქანეებს ჩაბარათავთავანთი ორთქლ-მავლები და ეს ფული მათ გადასცა აგრეთვე მიანიჭა უფლება, „საზეინობა“ გაქვითათ თავიანთ ორთქლ-მავლებზე, როგორც კერძო შესაგუთრეს. გამოცხადდნენ თუ არა „საზეინებთ“, შეუდგნენ მუშების გაწმენდას „არა საიმედო ელემენტებისაგან“. ამისთვის თითო მათგანი ცდილობდა, რომ მის ორთქლ-მავალზე ხელისხის ისეთი რემონტი გაეკეთებია, რომელიც მუდამ ვაშს ეოფნოდა; ასეთი რემონტის გაკეთება წარმოუდგენელი შეიქნა, რისთვისაც წერილობით, თუ სატყუიურათ სპეცლებდნენ მუშებს უფროსებთან. უფროსები, თუ არ ითხოვდნენ, ჯამაგირებს მაინც უკლებდნენ 10—30%—დე.

თვითივე ორთქლ-მავალს სახინიდან გადაწვევითი აქვს წვრილმისი რემონტებისთვის კრედიტი 700—1000 მ. სანამ გააკეთებდნენ განსაზღვრულ ნორმის—120,000 ვერსს. ამ ნორმის შემდეგ ინსტრუქციის ძლით ორთქლ-მავალი უნდა გაიგზავნოს მთავარ რემონტში (вз главный ремонт.) მაგრამ ხშირათ მანამ ამუშავებენ, სანამ ბოროტება გამოსაცვინათ არ განდებს. თუ გადაწვევითი ნორმა 120,000 ვერსი, ისანი 200,-300,000 ვერსს აკეთებინებენ.

ასეთი მუშაობა იწვევს სიმუშაო კრიზისს და ამცირებს მუშა ხელს. ამ კრედიტიდან უნდა დაიფაროს ორთქლ-მავლის რემონტის ხარჯები და სწორეთ ეს არის, რომ მთელ აურსაურს იწვევს მუშებსა და მემანქანეებს შორის. მემანქანენი ცდილობენ, რემონტი არ დაწერონ და თვითონ გააკეთონ, რასაც შეუბიან კიდევ. როგორც ამ ბოლო ხანებში ირკვევა, ყველა სუფთა რემონტის აკეთებენ „ზარტინი“ დეპოებში, მაკალითათ, მიხაილოვში, აქსტაფში, სანანში და ევლანში. როცა აქ, თფილისში ვერ მოახერხეს რემონტის ისე გაკეთება, რომ არ დაეწერათ, მაშინ ამას ჩადან და ანერსებენ კიდევაც, რო-

გორც თვითონ დაზარალებენ, ზემო ჩამთავლილ დეპოებში: თან ნიშნის მოკებით გველზარალებიან ხელისხებს: „რეველ“ გააკეთეთ, მაგრამ შე ექვს შურათ გააკეთებთე ამ და ამ დეპოში“-ო. ამის შემდეგ თფ. დეპოს მუშებს უხელდებათ მემანქანეთა თავგასული მოქმედების ადგმა. უმეტესი ნაწილი რემონტზე დარჩენილი ფულისა რჩება სახინის სხარტებლოთ, მხოლოდ მცირედს იღებენ ისანი. ხელისხები კი ორსვე შემთხვევაში ხელცარიელი რჩებიან. და აი, ამ მცირეს გულისხმავს ჩადან ასეთ საქმეს. აი, რა დამსახურათიული შემთხვევა მოხდა ამას წინათ ერთ უბრადო საქმეზე: რამდენიმე ორთქლ-მავალზე ცოტა დეფიციტი აღმოჩნდა. ამის დასაფარავთ მოინდომეს შენახული მასლის გაყიდვა. მასლას ღირდა 7,000 მ. ამით უნდლათ გაეთანხმებოდათ ყველა ორთქლ-მავლების ხარჯი. ეს გაიკვს მემანქანეებმა და ასტყეს განგაძი: თუ მოგვცემენ ყველას, კარგი, თუ არა და, ისევ სახინას დარჩესო.

არის კიდევ ერთი ახირებული მოვლენა მემანქანეებში: ზოგ მათგანს კარგი ორთქლ-მავალი ეავს — ზოგს ნაკლები; მაგრამ მიუხედავთ ამისა, უკანასკნელი მეტ ზრემიას აკეთებს, ვინემ ზირველი. რას ამის მიზეზი? უკვე გამოჩნეულია. ბ. ჩერნიავისკიმ მიზეზი იბოვა შემდეგში: ზოგი მემანქანეები თუ მახალივინდნ მოდიან თფილისში მარტო ორთქლ-მავლით, სწერენ მარშრუტებს: წამოვიდე 60 ვერსიო და ასეთ მარშრუტებს გზავნიან სამმართველოში. კანტროლი უშუადა ასეთებს და დებულობდნენ ფულებს, რაც ეკუთვნის საერთო მარშრუტებს. ბ. ჩერნიავისკიმ თვითონაც სცადა ასეთი ხრიკი და კიდევ მიიღო ხვედრი ფული. როცა კარგათ დარწმუნდა სინამდვილეში, მან აღძრა სახივარი ვისთანაც ჯერ იყო, მაგრამ რითი დაბოლავდება საქმე, ჯერ არ ვიცით.

ასე უმწველათ სტანჯავენ დღიურ მემანქანეების თანამშრომლებსაც, რომელთა რიცხვი 40—46 კაცს უდრის. ერთი წლის განმავლობაში მოხსნეს ბევრა მათგანი ორთქლ-მავლებიდან და გაგზავნეს სამუშაოთ ხელისხებთან. მათში ურევია ისეთებიც, რომლებიც განუწყუტელი მუშაობდნენ ორთქლ-მავლებზე 5—6 წლის განმავლობაში. ნახევარმა თითქმის დაკარგა ძალ-ღონე აქ მუშაობის დროს და ახლა ნახევრათ იხვალადა გაგზავნეს ხელისხებში სამუშაოთ.

მეორეთულია

თამბაქოს ფაბრიკების მუშათა ცხოვრებიდან.

ცოტა რომ არა ვთქვათ, თფილისის თამბაქოს ფაბრიკებში ათასი კაცი მანც მუშაობს. როგორია დღეს მათი მდგომარეობა, როგორ შეინახეს მოხობული უფლებები? სამწუხაროთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამასე ოქრო მათთვის ზედ-მეტ ბარგათ გამხდარა. საზეინები, როგორც უნდათ, იმ კილოზე ამღერებს მათ. არავითარი ხმის ამოდება, არავითარი ზრეტესტი აღარ ისმის. საზეინების ეოველ წინადადებას სრული ჭარმებით იცავენ. კერძოთ, თითო-ორილად მუშებს საზეინებთან „კეთილი“ განწყობილების გამო თავისი მდგომარეობა ასე თუ ისე გაუმჯობესებელი აქვთ, და საერთო საქმისთვის აბათავს როგორ შეიწუხებენ! საქმე ისეა, რომ მუშებს უბრადო ქარხნის კომისიაც კი არა ეავთ, რომ საჭირო შემთხვევებში საზეინებთან მოლაზარაკება გამართონ. საზეინებიც ხელავენ ასეთ მდგომარეობას და გულში არჩეინად იცინიან. სიცილეში კი ხელხელა უკან მიაქვთ ახლო წარსულში შექნილი საუხუე. აღარ



არის ახანოს ბილეთები, სხვათა შორის, სამუშაო ხელათუბი, წამალი და სხ...

აგე ორი თვე გადის, რაც ბ. ენფიანჯიანცი ზედ მეტ სამუშაოს ასრულებინებს მუშებს. მუშებმა კი ამაზე კინტიც არ დასძრეს, ერთი მოლაზარაკებაც არ გამართეს. თუ ზედმეტი სამუშაო იქნებოდა, მუშებს შეეძლოთ დროებით არმონი უმუშევარი მანინ ჩაეყენებიათ საქმეში, და თითონ არ მიუღოთ თორმეტი საათის სამუშაო. განა ვერ ამჩნევს, რამდენი უმუშევარი დადის თიფლისში უღებამ-პურით? მაგრამ დღეს ისეთ ხაირათ არის მომართული მათი გონება. რომ ამაზე ღაზარაკს ზედ-მეტათაც თვლიან. ჩვენ მანინ ვიტყვით, რომ ასეთი უურადლებობა, საქმის ასეთ ხაირათ მოხერხება მომავალისთვის კარგს არას მოატანს და საჭიროა ამაზე ზრუნვას ადგილი დაუთმონ თავიანთი გონებაში.

პეტრონი.

კანდიტორ-მებულკეების ცხოვრებიდან.

1906 წლიდან დაწყებული თანდათან გვეცლება ხელიდან ყოველივე მძებრული უფლებები; თანდათან უარესდება ცხოვრების პირობები, აუტანელი ხდება ჩვენი ცხოვრება.

მიხეილის ქუჩაზე არსებობს ერთი ახლათ გახსნილი საკანდიტორო „რენომე“, რომლის ხაზეინი წინეთ დაქირავებული მუშა იყო; მას უყვარს ორი ამხანაგი; ეს უკანასკნელები დღესაც ჩაქრებით არიან.

საკანდიტოროში მუშაობს შეკირდებიანათ ხუთი მუშა. მუშაობს ყოველ-დღე, კვირა-უქმეობაშიც კი, სწარმოებს განხუსხდურეთათ: რამდენ საათსაც საჭიროა იქნება, იმდენს ამუშავებს ხაზეინი. ხელფასი ძლიერ მცირეა: უფროსი კანდიტორი იტებს 35 მანეთს თვეში თავის ხარჯით, მეტუფე იტებს 20 მანეთს, ერთიგ დამხმარე—რვა მანეთს, დანარჩენი ორი თითო სამ მანეთს თვეში.

ხაზეინი ვაღდებულია თავის მუშებს მისცეს სადგომი ბინა თავის ხარჯზე, მაგრამ არავისთვის არ მიუცია. ხაზეინი ეუბნებოდა მათ: რადგან ჯერ ახლათ გახსნილი მაქვს საკანდიტორო, ამიტომ ჯერ ცოტას დამჯერდით და შემდეგ კი მოგამატებთ და ბინასაც მოგცემთ. მიუხედავად ამის მან დაარღვია რაგარც ძველი, ისე ახალი პირობებიც. მან დაითხოვა ერთი მუშა იმიტომ, რომ უკანასკნელმა მოსთხოვა მას დანაშორები ბინა. ადდგომის წინა კვირეში, რაცა მუშაობამ იმეტა, ხაზეინმა წინადადება მისცა მუშებს: დღე და ღამე იმუშავეთ, ზედ-მეტი მუშაობისთვის ჯამაგირს ერთ-ერთათ გაანგარიშებთ და ადდგომის სამი დღის ხარჯსაც მოგცემთ. მუშებიც დასთანხმდნენ. ერთი კვირის განმავლობაში ძალიც კი არ დირსებიათ. გათავდა საადდგომო მუშაობა და მუშებმა ფული მოსთხოვეს ხაზეინს, მან კი უარი უთხრა ზედ მეტ სამუშევარის მიცემაზე. რაცა ადდგომის სამი დღის ხარჯი მოსთხოვეს, მან დატინვით უზასუხა: წადათ, გაისეირნეთ, ჰაერი ჩაუღაძეთ. მუშების სიტყვებზე, რომ მათ ეს უფლება დიდი ხანია მოიპოვეს და აქნამდე სარგებლობდნენ კადეც, და რომ ამ პირობებში დასთანხმდნენ ისინი მუშაობას, ამ ყოფილმა მუშამ ასე უზასუხა! ის დრო გაფრინდა თავის პირობებით.

ასეთ ჯაჯახეთურ პირობების და დამცირების შემდეგ, რომ

ცა ორი მუშა იძულებული ხდება სამუშაოს შეტყობინებას ანგარიშს არ აძლევს, ორი კვირის ადრე უნდა გეცნობებიათ, თითონ კი, რაცა მუშა დაითხოვა, იმ დღესვე გაისტუმრა და არც საჭიროთ უცნია ადრე შეტყობინება.

ერთი სიტყვით, ამ გაუმაძღარ ხაზეინს სრულებით დასვიწყდა, რომ გუშინ ისიც მუშა იყო, რომ გუშინ თითონ ვიბოდა იმ პირობებს, რომელშიც ახლა თავის მუშებს აყენებს.

ყოველი ფეხის ნაბიჯზე მართლდება დადებული მოძღვარის სიტყვები: მდგომარეობა სასდგარავს შეგნებას.

მაგრამ რაცა ხაზეინები თავის მდგომარეობის მიხედვით იქცევიან, რატომ ჩვენ, მუშები არ ვაქცევით ისევე, რატომ ჩვენც არ ვცდილობთ მძებრული უფლებების დაცვას? აი, ეს არის სამწუხარო, თორემ ხაზეინი რის ხაზეინია, თუ მუშა არ გაუვლიფა და არ მოატყუას!

კანდიტორი.

უცხოეთის ბასწორება:

მე-2 №-ში, მეათურში, გვერდი 2, სვ. 1. დაბეჭდილია: გაუთანასწორონ ყოველ-გვარ უფლებებში. უნდა იყოს გაუთანასწორონ ყოველგვარ უფლებობაში. შინაურ მიმოხილვაში გვ. 4, სვ. 1. ქვ. სტრ. 6. დაბეჭდილია: ერთი მხრივ; უნდა იყოს: ორი მხრივ. 3 №-ში. გვერდი 9, სვეტი 2, მეფერთმეტე სტრიქონზე ქვემოდან დაბეჭდილია: „ამკობს მას“; უნდა იყოს: „ამკობს მათ“.

რედაქტორ-გამომცემელი კ. ფ. მგელაძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი :

საკოლონიო ამხანაგობა
ობოროცი
ამიერ-კავკ. რკინის გზების მოსამსახურეთა მომხმარებელ საოზგადოების საქონლის ჩამბარებელი
ამით აუწყებს მომხმარებელ საოზგადოების წევრთ და კერძო მღმტრათ, რომ 11 მარტიდან გაიხსნა
შეამრილ ტანისამოსის განაწილება.
ყოველწლირი ტანისამოსი მამაკაცთა პორტიკულიარული ფორმისა და მოწაფეთათვის, ქალთა ტანისამოსი, პარიზის უკანასკნელ მოდაზე დამზადებული. ფასები შეუვაჭრებლათ, კონკურენციის გარეშე. მალაზია მოთავსებულია გოლოვინის პროსპ. № 16, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (5).

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ
საუკეთესო ღირსების, ნამდვილი პურის
კვასი - გემო
თფილისი, ვეძინის ქუჩა, № 11.